№ 221

ხუთშაბათი, 8 დეკემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 221

ხუთშაბათი, 8 დეკემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ტფილისის სახაზინო თეატრი
საოპერო არტისტთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება
დღეს, 8 დეკემბერს 1905 წ.
1.
პაიაცი
ოპერა 2 მოქმედებად, მუს. ლეონკავალოსი
2.
რიგოლეტტო
ოპ. 4 მოქმ., მუს. ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაშინსკაია, პროკუტინა, რუდინა, კარპოვა; ბ-ნნი კელტოვი, ლოავინი, ელიახიშვილი, სოკოლსკი, ტომაშევიჩი, ჩისტიაკოვი, ვოლსკი, დემიანენკო, ფილიპოვი, შეინი.

ბალეტის გამგე ბ. ბეკეფი.
დასაწყისი დილის 12 საათზე.
კაპელმეისტერი: ი. ბ. ფალიაშვილი.
რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
ადგილების ფასი დაკლებულია.

მოწაფეთათვის ბილეთები იყიდება ყველა წარმოდგენისა 50 კაპ., მაგრამ მოწაფეები უთუოდ ფორმის ტანისამოსში უნდა იყვნენ.

ანონსი: პარასკევს, 9 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება ოპერეტკა „ნიტუში“; შაბათს, 10 დეკემბერს, არტისტის მ. ბ. სოკოლსკის საბენეფისოდ, წარმოდგენილი იქნება „სევილიელი დალაქი“. მზადდება წარმოსადგენად ოპერეტკა „კრასნოე სოლნიშკო“.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი. ბილეთები იყიდება.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

შ. ბ. ჩიქოვანი—9 საათიდან 10 საათამდე—[illegible] შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ფ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძილიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

მ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ბიდის ქ. (№ 21) ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ხ. მესხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ზეხარიონ პაპავა—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კორპუსის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელისაბეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ზარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

რედაქციისაგან

სამშაბათს, 6 დეკემბერს, ქალაქში დიდმა თოვლმა გასწყვიტა ელექტრონის მავთულები და წააქცია მავთულის ხვეტები. ელექტრონის სადგურმა ღამით ძალა ვეღარ მოგვცა სტამბაში მბეჭდავ მაშინის ასამუშავებლად და ამიტომ იძულებული გავხდით გუშინდელი ნომერი, რომელიც წინა დღით დამზადებული გვქონდა დასაბეჭდად, აღარ გამოგვეცა.

პრესსის თავისუფლება?

როდესაც რუსეთის მთავრობამ, 17 ოქტომბერს დაპირებულ პრესსის თავისუფლების განსახორციელებლად, ახალი პრესსის შესახები დროებითი კანონი გამოსცა, საზოგადოებამ მთავრობის მოქმედებას ეჭვის თვალით შეხედა და ახალ კანონში სარეაქციონერო მისწრაფება აღმოაჩინა. ეს ეჭვი ზოგიერთს უსაფუძვლო ეგონა; ამბობდნენ — მთავრობას ნამდვილი სურვილი აქვს ხალხს 17 ოქტომბერს დაპირებული თავისუფლება მიანიჭოსო.

მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ დაგვიმტკიცა, რომ მთავრობა ისევე ძველ რეჟიმის მოტრფიალეა, რომ მას ხალხისთვის უფლებების მინიჭება უნდა მხოლოდ იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ძველებურად ბატონობა სახელმწიფოში და არა იმისთვის, რომ თვით ხალხმა უკეთესად მოაწყოს თავისი საზოგადო ცხოვრება.

მთავრობა დღესაც კიდევ განმანთავისუფლებელ მოძრაობის მეთაურებს თავის პირად მტრად ჰსახავს და მათ ებრძვის იქაც კი, სადაც ეს ბრძოლა ხალხისათვის არა სასურველია, სადაც ხალხი ამ მებრძოლთ ემხრობა და ესარჩლება. საკმარისია გავიხსენოთ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვა, რომელიც მთავრობამ ჯერ „აჯანყებულთა“ სახელით მონათლა გაფიცულები, ცნობილ ბრძანების ძალით, დაითხოვა და ახლა კი ჯამაგირები მოუმატა და ეკონომიურად მათ მდგომარეობის გაუმჯობესებას დაჰპირდა. მთავრობა, რომელიც 17 ოქტომბერს აცხადებდა, ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავად არაფერს მოვიმოქმედებო,—ახლა თავის ნებით, თავის მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად ბრძოლას უცხადებს ფოსტა-ტელეგრაფის კავშირს და არაფრად აგდებს იმას, რომ ამის გამო ხალხი უფოსტოდ და უტელეგრაფოდ დარჩა, არაფრად აგდებს იმას, რომ საზოგადოებამ, რითაც კი შესძლო,—თანაგრძნობა გამოუცხადა მთავრობასთან მებრძოლ კავშირს,—ამითი მთავრობამ აშკარად დაამტკიცა, რომ მისთვის ხალხის სურვილი და ხალხის კეთილდღეობა არაფრად ჩასაგდებია. 17 ოქტომბრის მანიფესტით დანაპირები, კავშირთა თავისუფლება, ხსენებულ მანიფესტის გამომცემმა მთავრობამ თვითონვე უარჰყო.

ასევე უარჰყო მთავრობამ პრესსის თავისუფლებაც. ჩვენ ვიცით, რომ პრესსის სრული თავისუფლება ევროპას არც ერთ სახელმწიფოში არ არის შემოღებული, მაგრამ ჩვენ ვიცით ისიც, რომ არსად, არც ერთ სახელმწიფოში პრესსის თავისუფლების შემომღები მთავრობა ვერ მისცემს თავის თავს იმის უფლებას, რომ დახუროს რომელიმე გაზეთი იმის გამო, რომ შიგ რამე ,,მთავრობის საწინააღმდეგო" წერილი უნდა დაბეჭდილიყო; ამის უფლებას ვერ იკისრებს მით უფრო მაშინ, როდესაც იგი ხალხში ნდობადაკარგულია და, დღეს იქნება თუ ხვალ, უნდა გადადგეს იმისათვის, რომ ადგილი ხალხის წარმომადგენლობას დაუთმოს. როგორ შეიძლება რომელიმე გაზეთის „მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულებისთვის დასჯა, ან დაკეტვა, როდესაც მთელი ხალხი მთავრობის მოწინააღმდეგეა...

რუსეთის მთავრობა კი ასე არ ჰფიქრობს. პეტერბურგში მან რამოდენიმე საუკეთესო გაზეთის გამოცემა შეაჩერა, როგორც ამას დღეს დეპეშებში ვკითხულობთ. მთელი კრება ისევ ძველების წესს მიჰმართავს, ძველებზე უფრო სასტიკად მოქმედობს. უწინ თუ რამოდენიმე გაფრთხილების შემდეგ ჰკეტავდნენ გაზეთს, ახლა გაფრთხილების მიცემაც აღარ მიაჩნიათ საჭიროდ. თავის საწინააღმდეგო აზრების შიშით, იგი გაზეთებს ხურავს და უნდა ამითი ხსენებულ აზრების გავრცელება ხალხში შეუძლებლად გახადოს. მას არ უნდა სასამართლოს მიჰმართოს და რედაქტორების დასჯა ითხოვოს, არ უნდა იმიტომ, რადგანაც იცის, რომ ვერც საზოგადოება და ვერც პატიოსანი მსაჯული დამნაშავედ ვერ იცნობს იმ რედაქტორსა და იმ გამომცემელს, რომელთაც გაზეთში კიდევ ერთხელ და გადაჭრით დაამტკიცეს არსებულ რეჟიმის უვარგისობა და მის მოსასპობად ხალხის შემოქმედებითი ძალებს მიმართეს.

ხსენებულ გაზეთების დანაშაული სწორედ ეს იყო. სულ მუდამ მთავრობისაგან გაურკვეველ დაპირების მოსმენა მოსწყინდა საზოგადოებას, რეაქციის გაძლიერება აშინებს ყველას, რეაქციის ნიშნებს კი მთავრობის მოქმედებაში ყოველი შეგნებული ადამიანი აშკარად ხედავს, და ამიტომ რუსეთში მომქმედ ელემენტების წარმომადგენლებმა გაზეთებში ხალხისადმი მიმართული მოწოდება დაბეჭდეს, რომლითაც ხალხს იწვევდნენ ერთხელვე დასახელებულ მიზნების ახლავე თავისსავე ძალით განსახორციელებლად...

ეს მოწოდება ძველ რეჟიმის მომხრეებს არ მოეწონათ,—არ მოეწონათ გაზეთების გულახდილი სიტყვა და გაზეთები დახურეს... კიდევ ერთი ზედ-მეტი საბუთი იმისი, რომ რეაქციას მკვიდრი ნიადაგი აქვს მმართველ წრეებში და რომ ახლა გაბატონებულ წრეებისაგან ხალხი ვერავითარ სიკეთეს არ უნდა მოელოდეს შემდეგში.

რაც 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებულ კავშირთა და პრესსის თავისუფლებას ეწია, ისეთივე ბედი მოელის სხვა დაპირებასაც. სხვა მოქმედების მოლოდინი ძველ რეჟიმისაგან, აღზრდილ პირებისაგან, შეცდომა იყო და შემდეგშიაც შეცდომა იქნება.

ვარ ფ—ი.

რეაქცია

დღევანდელ ნომერში დაბეჭდილ დეპეშიდან მკითხველი დაინახავს, თუ როგორ სრულდება რუსეთში ის თავისუფლება, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადდა. რევოლუციის შიშით აკანკალებულმა ვიტტეს სამინისტრომ ხელად შეიმუშავა „დროებითი კანონი პრესსის თავისუფლებისა“ და ამ კანონის საფუძვლით, ჯერ-ჯერობით, მოსპო გაზეთები: „სინ ოტეჩესტვა“, „ნოვაია ჟიზნ“, ,,ნაშა ჟიზნ'', ,,ნაჩალო'', ,,სვობოდნი ნაროდ'', ,,რუსკოე სვობოდნოე სლოვო“ და „რუსკაია გაზეტა''. მათი რედაქტორები სისხლის სამართლის [illegible] მიცემულნი და, [illegible] ბიუროკრატული სასამართლო ციხეში თავს ამოაყოფინებს. ეჭვი არ არის, რომ ამ გაზეთების ბედი სხვა გაზეთებსაც მალე ეწვევა,—მთავრობა ეცდება მთელს რუსეთში მხოლოდ უკუღმართ მიმართულების გამოცემები და დასტოვოს ხალხის გონების ასაბნევად და რევოლუციისთვის ლამპარის ჩასაქრობად.

,,რუსეთის დეპეშთა სააგენტომ'' მეორე ,,თავისუფლებაც'' მოგვიტანა. გამოცხადებულია ახალი ,,დროებითი დებულება'' სასჯელთა შესახებ ,,თვითნებობით და საერთო შეთანხმებით'' მუშაობაზე ხელაღებისათვის იმისთანა დაწესებულებებში, რომელთაც საზოგადო, ანუ სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ, ანუ მთავრობის ორგანოები არიან.

რას მოასწავებს ეს ახალი კანონი იმავ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ,—ადვილი მისახვედრია,

რუსულ გაზეთებიდან უკვე ვიცით, რომ ეს ,,დროებითი დებულება'' საჩქაროდ მზადდებოდა და სახელმწიფო საბჭოს უნდა განეხილა. მთავრობას, დიდი ხანია, გულს უგმირავდა მუშა-ხალხის მშვიდობიანი გაფიცვა—ეხლანდელ პირობებში ერთად-ერთი იარაღი მის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გაფიცვების წინააღმდეგ მთავრობა მრავალ უკანონო საშუალებას ხმარობდა, მაგრამ სასამართლო მხარს არ უჭერდა: სენატმა, განმარტა, რომ მშვიდობიანი გაფიცვა არსებულ კანონების დარღვევა არ არის და გაფიცულნი სამართლით ვერ დაისჯებიანო. ახლა კი მთავრობამ განიზრახა თავის ძალმომრეობის დაკანონება და, თუმცა, 17 ოქტომბრის მანიფესტით სიტყვისა და კრება-კავშირების თავისუფლებას, გვპირდებოდა, დღეს მუშა-ხალხს ის მცირედი უფლებაც კი წაართვა, რომლის საჯაროდ გამოცხადება მის თავგანწირულ ბრძოლას მოჰყვა შედეგად. ახალი დროებითი კანონი სრულიად სპობს კრება-კავშირების ძირითად აზრს და გაფიცვა—შეთანხმებისათვის სასტიკ სასჯელს აკანონებს. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ ახალ დებულებაში:

ვინც წააქეზებს კერძო თუ სახაზინო რკინის გზებზე მოსამსახურეთ, ანუ ტელეგრაფისა, ტელეფონებისა და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურეთა და მოხელეებს, რომ საერთო შეთანხმებით მუშაობა შესწყვიტონ, დასჯილ იქმნება ციხეში დაპატიმრებით რვა თვიდან ერთს წლისა და ოთხ თვემდე. თუ გაფიცვა არ მოხერხდა და წამქეზებელი გარეშე კაცია და არა მოხელე და მოსამსახურე, წამქეზებელი მაინც დასჯილ იქმნება ციხეში დაპატიმრებით ორ თვიდან რვა თვემდე.

თუ გაფიცული მოხელენი თავის თანამსახურთ მუქარითა და თავის კრებულიდან განყენებით (ბოიკოტით?) ძალას დაატანენ, რომ საერთო გაფიცვაში მონაწილეობა მიიღონ, უკეთუ მათი მოქმედება უფრო სასტიკ სასჯელს არ იწვევს, ციხეში დაპატიმრებულ იქმნებიან ოთხ თვიდან ერთ წლისა და ოთხ თვემდე.

ვინც ისეთ კრებულში მონაწილეობას მიიღებს, რომელსაც აზრად აქვს სხვადასხვა დაწესებულებებში მოსამსახურეთა და მოხელეთა გასაფიცავად წაქეზება, ციხეში დაპატიმრებულ იქმნება ერთ წელსა და ოთხ თვიდან ოთხ წლამდე, პირად და ქონებრივ ღირსებათა ჩამორთმევით, და სხვა.

გაფიცვის გამო, დამნაშავეთა სისხლის სამართალში მიცემა შეუძლიანთ დაწესებულებათა უფროსებს, საზოგადო წესით, ხოლო, თუ იგინი საჭიროდ დაინახავენ, სისხლის სამართალში მიცემის მაგიერ, უფლება აქვთ სხვაფრივ დააჯარიმონ დამნაშავენი, კანონში აღნიშნულ წესით.

ამრიგად უქმდება 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებული თავისუფლება სიტყვისა და კრება-კავშირებისა, რადგან მართალის მთქმელი წამქეზებლად იქმნება ცნობილი და ყოველი კავშირი, რომელიც საერთო მოთხოვნილებაზე ხმას ამოიღებს, ახალ დებულებით, უკანონოდ ჩაითვლება და მისი მონაწილენი სასტიკად დაისჯებიან.

ასე ცრუობს რუსეთის მთავრობა და არამც თუ თავის ხალხს, არამედ მთელ განათლებულ კაცობრიობას ატყუებს სხვადასხვა განუხორციელებელ მანიფესტებით. იგი მეორე დღესვე სპობს და აქრობს იმ უფლებებს, რომელთაც წინა დღით მანიფესტებში აცხადებს.

მაგრამ ძლიერი რევოლუცია ფარ-ხმალს არ დაჰყრის რეაქციის წინაშე,—იგი ზღვის აგორებულ ზვირთივით გადაივლის ამ რეაქციასა და მის სულის ჩამდგმელებზე.

მ.

ქალაქის სარევოლუციო კომუნა

—:—

მთავრობამ ვერც ერთი პოზიცია ვერ შეინარჩუნა. არ დარჩა არც ერთი დარგი გამგებლობისა, რომელიც დღეს [illegible] სფეროში არეულობა, უმოქმედობა, დეზორგანიზაცია გამეფდა. არ დარჩა ამ დეზორგანიზაციის გარეშე ქალაქის თვითმმართველობაც, — ვითომდა მოქალაქეთა წარმომადგენელი, იგი ნამდვილად უფრო პოლიციის დამხმარე და მორჩილ ორგანოს წარმოადგენდა.

ამიტომ, როცა თავისუფლების პირველმა გრიგალმა გაიარა და ყველგან ძველი, დახავსებული დაწესებულებები შეარყია, ქალაქის საბჭოც შეინძრა, შეხმაურდა და ამ შეხმაურებით მხოლოდ სრული თავისი გაკოტრება დაგვანახვა. საოცარი მხეცობა, რომელიც ტფილისში დატრიალდა, ქალაქის თვითმმართველობისათვის შესანიშნავი გამოსაცდელი შემთხვევა იყო.—ჩვენ დავინახეთ, რომ ქალაქის თვითმმართველობამ ამ უბედურ დღეებში მოქმედების ნატამალიც ვერ გამოიჩინა. არავითარი ზომა, არავითარი ინიციატივა ამ დახავსებულ დაწესებულებაში არა სჩანს და ქალაქის თვითმმართველობას ამით სამუდამოდ სახელი გაუტყდა. არც ერთი მოქალაქე, რა გამოყრუებულიც უნდა იყოს, არავითარ დახმარებას, არავითარ გამხნევებას, ამ საოცარ დროს, ქალაქის თვითმმართველობისგან აღარ მოელის. არ მოელის იმიტომ, რომ ქალაქის დღევანდელი თვითმმართველობა არარა არის. მას სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობა, მის, გრძლად მოლაპარაკე წევრებს ხალხი არ ენდობა; არ ენდობა იმიტომ, რომ დადგა მოქმედების მომენტი, ხოლო ქალაქის საბჭოდან მოქალაქობრივ გამბედაობის და ხალხის დაცვისათვის მიმართულ მოქმედებას არავინ მიელის. ქალაქს თვითმმართველობა არა ჰყავს.

მეორეს მხრივ კი, არას დროს ისე არ ყოფილა საჭირო, როგორც ეხლა, ერთი ცენტრი, ერთი წინამძღოლი, ხალხის თავშემყრელი და გამამხნევებელი ცენტრი. ძველი და ახალი ძალები დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს. ძველი ძალები თავს იყრიან და ახლის გასანადგურებლად ემზადებიან. ამ ბრძოლას უსასტიკესი ხასიათი ეძლევა,—სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ემზადება ორივე მხარე: მოქალაქობრივი ომი თავის დაუნდობლობით, შეუბრალებლობით თვალწინ გვიდგას.

ბრძოლა მებრძოლთა ერთობას მოითხოვს. საჭიროა ყველა განმათავისუფლებელ ძალების მობილიზაცია, საჭიროა ძველის სავსებით დაცემა, მოსპობა ძველ რეჟიმის ყველა ნაშთებისა. მეორეს მხრივ, შეცდომა იქნება—ხალხმა ყველაფერი მომავალ დამფუძნებელ კრებას მიანდოს: ხალხი თვით რევოლუციაში თავის შემოქმედებითი ნიჭს გამოშლის და თანდათან მსვლელობაში, შეუწყვეტელ ბრძოლაში შეიქმნის იმ ფორმებს, რომელნიც ნამდვილ მის მოთხოვნილებებს და მისწრაფებას გამოხატავენ. საჭიროა მოქმედების ერთობა და არა ხალხის მოქმედების შეზღუდვა. ამიტომ ხალხი არაფერს წააგებს, თუ დღესვე განახორციელებს იმას, რაც მომავალ საკანონმდებლო კრებულის საქმეა. ამას, პირიქით, ხალხის გამარჯვების ინტერესი მოითხოვს.

ყოველგან ძველის დამხობა და ამ ნანგრევებზე ახალ ფორმების დამყარება—ესაა ერთად-ერთი გზა გამარჯვებისათვის. რამდენსაც უნდა ეცადოს ხალხი, რევოლუციაში, გეგმის მიხედვით, სისტემატიური, აწყობილი მოქმედება შეუძლებელია. შეუძლებელია რევოლუციის საქმე ისე აეწყოს, რომ ყველგან ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე რიგზე მოხდეს მოქმედება. სარევოლუციო მოქმედებაში შედეგის ერთგვარობა დამოკიდებულია მხოლოდ მისწრაფების ერთგვარობაზე. და აი, სწორედ ამის მაგალითს დღევანდელ მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს. აქ ფლოტი აჯანყდა, იქ ჯარი ურჩობს, მეორე ადგილს პროლეტარიატი იმარჯვებს. შეუწყვეტლივ აქა-იქ იფეთქებს რევოლუციონური მოქმედება, რომელიც თანდათან ძირს უთხრის ძველს წყობილებას.

ასევე შემდეგშიაც იქნება. რამდენიც დრო მიდის, იმდენად უფრო ხშირდება ეს აფეთქება, უფრო ძლიერდება და გარკვეულ სახეს იღებს, სანამ ერთ საერთო ალმურად, ძველის გამანადგურებლად არ გადაიქცევა.

ხოლო ყოველ ადგილობრივ გამარჯვებას უნდა მოჰყვეს პოზიციის გამაგრება, რომ კიდევ წინ წავიწიოთ,—ამისათვის კი საჭიროა ყოველგან ადგილობრივ დროებით მთავრობის, სარევოლუციო მთავრობის შექმნა. სოფელი იჩენს სოფლის კომუნას, ქალაქი—ქალაქისას; გაიხედეთ ირგვლივ, ვინაა დღეს ქალაქის დამცველი? ვინაა მოქალაქეთა გამძღოლი? მთავრობა? იმას ხომ სულ დავთარი აებნა. ქალაქს საბჭო? ის ხომ ყოველთვის არარა იყო და ეხლაც არარა არის. დარჩნენ მოქალაქენი, რომელნიც ვალდებულნი არიან გასწყვიტონ კავშირი ძველთან და შექმნან ახალი, ქალაქის სარევოლუციო კომუნა.

ტ.

გამორკვეულიცაა და გამოურკვეველიც

ამას წინედ ქართულ გაზეთებში გამოქვეყნდა ჩვენ პარტიების მიმართ ქართველთა ერთ ჯგუფის წერილი. წერილში ხსენებული ჯგუფი მიმართავდა თხოვნით პარტიებს, გაგვაცანით სომეხთა პარტიის „დაშნაკცუტუნის“ ფიზიონომიაო. ხსენებული ჯგუფი რასაკვირველია შემცდარ გზას დაადგა: პარტიების ხასიათის გამორკვევა კომისიებისა და საამხანაგო სასამართლოების საქმე როდია. ყოველ პარტიას ახასიათებს მისი იდეა, დედა-აზრი,—განსაკუთრებით კი მისი პრაქტიკული მოქმედება და ხალხში მუშაობა,—განსაკუთრებით,—ვამბობთ იმიტომ, რომ ამ ჯოჯოხეთურ დროს ბევრი ბურჟუაზიული პარტია პირბადეს იფარებს და მაღალ ფრაზებში მალავს თავის ვერაგულ, ხალხის სამტროდ მიმართულ მისწრაფებას და სურვილებს. ასი წლიწადი მაინც არის, რომ ბურჟუაზია გაიძახის, მუშაზე ვზრუნავს მუდამ იმის ცდაში ვარ, რომ მუშის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, არა საკუთარ ჯიბეს, არამედ საკაცობრიო საქმეს ვემსახურებიო. მაგრამ ეს ტკბილი, დამაძინებელი ნანინა სრულიად არ უშლის განაგრძოს თავისი ხელობა და მუშას ტყავი აძროს, რამდენათაც კი ეს შესაძლოა მისთვის. მუშამ ამ ტკბილ ღიღინს რომ დაუჯეროს,—თავის ნაოფლარსაც დაჰკარგავს და იდეურადაც მოტყუებული დარჩება.

ბურჟუაზიისათვის და მის იდეოლოგებისათვის კარგა ხანია, სიტყვა და საქმე ერთი არ არის. მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა—ერთის თქმა, ხოლო საქმით ნათქვამის სულ წინააღმდეგის ჩადენა. ამას აუარებელ მაგალითს ევროპის საპარლამენტო ცხოვრება. იძლევა. ინგლისში, როცა არჩევნები იწყება, კონსერვატორთა და ლიბერალთა პარტიები ერთი მეორეს ეჯიბრებიან მუშათა გულის მოსაგებად, ერთი მეორეს ეჯიბრებიან სხვადასხვა დაპირებაში, მაგრამ, რაკი რომელიმე ამ პარტიათაგანი გაიმარჯვებს, მაშინვე აეიწყდებათ თავისი დანაპირები.

ამნაირად ჩვენ უნდა გვქონდეს თვალ-წინ, როგორც პარტიის გამოქვეყნებული მისწრაფებანი, ისე მისი მოქმედება. რომ „დაშნაკცუტიუნის“ პარტია არის ნაციონალისტური, ეს არავისთვის საეჭვო არ არის ხოლო, რაც შეეხება მის სოციალისტობას, ამის საბუთს კი არავითარი მისი მოქმედება არ გვაძლევს. რაც შეეხება სომეხ-თათართა შეტაკებას ჩვენში, ბევრს იგი ადვილი ასახსნელი ჰგონია. ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა კიდეც გამოაცხადა: რევოლუციონურ სომხის ბურჟუაზიას აუმხედრდა რეაქციონურ ფეოდალთა კლანებში მყოფი თათრობაო.

მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი ახსნა მხოლოდ ჭეშმარიტების დაბნელებაა. განსაკუთრებით საკვირველია ასეთი აზრის გამოთქმა იმ გაზეთისაგან, რომელმაც კარგად უნდა იცოდეს, რომ ბურჟუაზიამ თავისი რევოლუციონური ეპოქა უკვე მოჰკმა თუ ეს აზრი საერთოდ

მართალი არის, მით უფრო სახაცილო იქმნება სომხის ბურჟუაზიის რევოლუციონურ ელემენტად დახატვა, მით უფრო მავნე და შეუწყნარებელი შეცდომა იქმნება თათრების და სომხების დაპირდაპირება, ერთ ეროვნების ველურად დასახვა და მეორესი კულტურულად გამოცხადება.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მოწინავე კულტურულ ქვეყნების,—ინგლისის, გერმანიის ბურჟუაზია კულტუროსნების დროშებით შეიარაღებულ მუსრს ავლებდა სხვა ეროვნების ხალხს ანადგურება, სპობდა მათ ამ ბურჟუაზიამ დაიმონა ან აღგავა დედამიწის ზურგიდან არა ერთი კულტურულად ჩამორჩენილი ხალხი და დაამტკიცა, რომ ბურჟუაზია გულჩვილობას და შებრალებას არაა ჩვეული. იგი სასტიკი და დაუნდობელია, როდესაც თავის ჩვეულებრივის იარაღით—ადლითა და სასწორით—იბრძვის. იგი მით უფრო ვერაგია, როდესაც არა—ჩვეულებრივ იარაღს—ხმალსა და თოფს—ხელს ჰკიდებს.

ტფილისის ქუჩებში ხოცვა-ჟლეტის დროს გაფაციცებით ვეძიებდი შებრალებას და სიყვარულს, მაგრამ ამაოდ... მხოლოდ გააფრთებული ბრბო იდგა, რომელშიაც ტყუილად დაუწყებდით ძებნას ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ მებრძოლთ.

ილიკანტური „ვოზროჟდენიე" გვარწმუნებს, თითქო ტფილისში ხოცვა-ჟლეტა შემწყდარიყოს „დაშნაკცუტუნის" პარტიის საარაკო თავგამოდების და ტაქტიკის წყალობით. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ჯერ ადრეა ლაპარაკი თათარ-სომეხთა ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებაზე. ჯერ კიდევ არ დანგრეულა შოვინისტების და კაცთა-მჭამელების კერპები. ყოველ შემთხვევაში, თუ მოპირდაპირეებმა აქ თავი შეიმაგრეს, ამისი მიზეზი მათ გარეშე უნდა ვეძიოთ. ტფილისში, თათარ-სომეხთა შოვინისტებს გარდა, სხვებიც არიან, რომელთა თვალ წინ უვნებელ, მშვიდ ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის გამართვა ასე ადვილი როდია. ასეთ დროს განზე გადგომა არავის არ შეუძლია და სოლიდარობისათვის ნამდვილი მებრძოლნი ნებას არ მისცემენ არავის, უდანაშაულოთა სისხლში ხელი ამოითხუპნონ და ამით ყოველი მოქალაქობრივი ცხოვრება შეუძლებელი გახადონ.

ასეთი ჩვენი სურვილი, რასაკვირველია, არ მოეწონებათ შოვინისტ-კაცთმჭამელებს. მარა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სომეხებსა და თათრებში საკმაოდ ამოჩნდებიან მომავლისათვის მებრძოლნი, რომელნიც ჭეშმარიტების შუქს შეიტანენ თავიანთ ხალხში, შოვინისტობას შეებრძოლებიან და ძირს გამოუთხრიან მის დამაბრმავებელ და გამანადგურებელ ვერაგობას.

თუ „დაშნაკცუტუნების" მოქმედების ხასიათი ჩვენთვის საეჭვო არ არის, ცოტას გვაფიქრებს ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების და სოციალისტ-რევოლუციონერების მოქმედება. თუ ამ პარტიებს ვინმე ბურჟუობას დასწამებს, გა- [illegible] კვლევას, თუ ეს პარტია რამდენად სოციალისტურია. მხოლოდ არ შეგვიძლიან არ გამოვამჟღავნოთ მათი ორჭოფობა და ორაზროვნობა, რომელიც მათ ,,დაშნაკცუტუნებთან'' დამოკიდებულებაში გამოიჩინეს. ,,დაშნაკცუტუნის'' კომიტეტი, ,,რაბოჩი ლისტოკისადმი'' მიმართულ წერილში, აცხადებს: ,,...ეს მხოლოდ შეთანხმების პროექტია, რომლის გამოქვეყნება არ შეიძლებოდა, სანამ მას არ განვიხილავდით ჩვენ მოკავშირე პარტიებთან, ს.-ფედერალისტებთან და ს.-რევოლუციონერებთან ერთადო''. აქ ერთი მხარე აშკარად აცხადებს, რომ ის პირდაპირი მოკავშირეა ორ ხსენებულ პარტიისა, ესე იგი რომ სრულიად დაცულია მათ შორის მომხდარი შეთანხმება. ბ.ბ. ფედერალისტებო და ს.-რევოლუციონერებო! რას ნიშნავს ეს თქვენი კავშირი? ცნობილ შეთანხმების შემდეგ, თქვენ ურთიერთობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა? გამოარკვიეთ თქვენი პოზიცია, აგვიხსენით, თუ რას ნიშნავს ეს თქვენი კავშირი?

—ძე

მონარქია თუ რესპუბლიკა?

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ მონარქია არის აბსოლუტური, თვითმპყრობელი და არის მონარქია კონსტიტუციონური, ე. ი. მონარქია, სადაც კონსტიტუცია—ძირითადი კანონები სახელმწიფოსი—უზრუნველჰყოფს ხალხის უფლებებს და შეზღუდავს მონარქის, ხელმწიფის უფლებებს. აბსოლუტურ-დესპოტური მონარქია არსებობდა რუსეთში 1904 წლის იანვრის თვემდის (ჩვენ ყოველთვის ხაზს ვუსვამთ იმ მოვლენას, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა იაპონიის სამხედრო ძლევა-მოსილობამ მოსპო საუკუნოდ). ეს მოსპობა თვითმპყრობელობისა სხვადასხვა აქტებით თვით თვითმპყრობელმა აღიარა თებერვალში, აგვისტოში და ბოლოს 17 ოქტომბერს 1905 წლისა. დღეს დესპოტიური თვითმპყრობელობა არსებობს ოსმალეთში.

რუსეთის სახელმწიფო მეცნიერების წარმომადგენელნი ჩვეულებრივ დიდ საზღვარს სდებდნენ ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფო წესწყობილებების შორის, მაგრამ ეს იყო ან თავის მოტყუება და ფიქცია, ან—და გაუბედავი, მონური გამართლება პოლიტიკურ მტარვალობისა. ეს მეცნიერები—კორკუნოვი, ალექსეევი და სხვანი—ბრძანებდნენ: რუსეთის იმპერია, მართალია, თვითმპყრობელის ხელშია, მაგრამ „კანონის" ძალით მართავს და განაგებს ქვეყანასო, ხოლო სულთანი კი თავის ქეიფსა და ნებას უმორჩილებს მთელის ქვეყნის ბედსა და იღბალსაო.

მივიღოთ უკამათოდ ის აზრი, რომ რუსეთში თვითმპყრობელი „კანონით" ხელმძღვანელობდა. უნდა ვიცოდეთ, ამ ,,კანონის'' შემქმნელი და გამომცემი ვინ იყო? რუსეთში ყოველივე კანონი გამოდის თვითმპყრობელის ნებითა და სურვილით, ყოველივე აზრი და მიმართულება კანონისა დამოკიდებულია ან თვითმპყრობელისა და ან სატრაპ. „ერემენშჩიკების'' კაპრიზებსა და ოც- [illegible]

ამგვარად, სრულიად არავითარი განსხვავება არ არსებობს ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფოს წესწყობილებას შორის. მაგრამ, როდესაც რუსეთის მეცნიერნი ბრძანებდნენ,—რუსეთის იმპერიას ,,კანონით'' მართავს და განაგებს თვითმპყრობელიო,—აქაც სიმართლეს ღალატობდნენ. ყოველი კანონი, ჩვეულებრივის წესით, სახელმწიფო რჩევაში უნდა გარჩეულიყო და შემდეგ უნდა წარსდგენოდა ხელმწიფეს დასამტკიცებლად. მაგრამ სახელმწიფო რჩევის აზრი სრულიადაც არაფრით სავალდებულო არ იყო თვითმპყრობელისათვის,—მას შეეძლო უმეტესობას დასთანხმებოდა, ასევე ადვილად შეეძლო უმცირესობას მიმხრობოდა და შეეძლო სრულიად თავისი კერძო აზრი დაეკანონებინა. ამიტომ, ხშირად რუსეთში მრავალი ფრიად დიდმნიშვნელოვანი კანონი გამოცემულა მარტო თვითმპყრობელობის ნებითა და სურვილით.

ამასთან საგულისხმიერო ის არის, რომ თვითმპყრობელობის სურვილს, რომელსაც თვითმპყრობელ მონარქიულ სახელმწიფოში კანონის ძალა და მნიშვნელობა აქვს, არღვევდნენ და არ ასრულებდნენ ყველაზე უწინარეს თვით ჩინოვნიკ—სატრაპები. მაგალითისთვის შორს წასვლა არ გვჭირია,—ავიღოთ 17 ოქტომბრის მანიფესტი. ეს მანიფესტი კანონია, რაკი იგი არის რუსეთის ერთად-ერთის კანონმდებლის—თვითმპყრობელ მეფის გამოცემული. მაგრამ იგი დაარღვია თვით იმ სურათმა, რომელიც მოსყიდულ დამქაშ მეგაზეთეებს აყვირებს,—თუ ნდობა არ აღმოუჩინეს მას ლიბერალებმა, რეაქცია დაიწყებაო. ამ მანიფესტის ძალა გრაფის ვიტტეს კაბინეტმა მოსპო პოლონეთში და ათი მილიონი განათლებული ხალხი იმ მდგომარეობაში ჩააყენა, როგორშიაც იყო ამ ოცი-ორმოცის წლის წინად. თვითმპყრობელის ნება-კანონი დაარღვია „ვრემენშჩიკმა" და თვით გახდა კანონმდებელი. ეს მაგალითი, რომელიც უფრო თვალსაჩინოა სხვა ათასში, გვიმტკიცებს, რომ როგორც ოსმალეთში, ისე რუსეთში არ არსებობდა და არ არსებობს არავითარი კანონიერება და წესიერება, არამედ ორივე ქვეყანას განაგებდა და განაგებს დესპოტიური ბრბო თავგასულ მოხელეთა, რომელთა მოქმედება ჰბადებს სახელმწიფოში ტირანიულ ანარქიას, რადგან ანარქია არის სწორედ ისეთი მდგომარეობა, როცა კანონის გამომცემი ორგანო აღარ არსებობს,—ვისაც როგორც უნდა, იმნაირ კანონს აწესებს და, როგორც უნდა, ისე ასრულებს.

ამგვარად, ოფიციალურ მეცნიერთა მსჯელობა რუსეთის სახელმწიფო წეს-წყობილებაზე ყალბია, რუსეთის პოლიტიკური წესწყობილება ამნაირად არაფრით არ განსხვავდებოდა, დღემდის მაინც, ოსმალეთის და სპარსეთის ტირანიისა და დესპოტიისაგან.

საუკეთესო ტიპი კონსტიტუციონურ მონარქიისა არის ინგლისი, სადაც მონარქის არავითარი უფლება არა აქვს,—ყოველივე უფლება, როგორც კანონმდებლობითი, ისე აღმასრულებელი, ხალხის ხელშია, რადგან აღმასრულებელი [illegible] წინაშე პასუხისმგებელია და მის უმეტესობის მონა-მორჩილი. აქ მეფეს არავითარი რეალური უფლება არა აქვს,—იგი აჩრდილია ოდესმე ყოფილის თვითმპყრობელობისა, რომელიც ინგლისში, კაცმა სთქვას, თავისდღეში ისეთის სახით არა ყოფილა, როგორც ევროპის კონტინენტზე, და რუსეთის თვითმპყრობელობა ხომ სულ სახსენებლადაც არ არის. ეს აჩრდილი უფლებისა თუ შერჩა ინგლისის მეფეს, შერჩა სწორედ იმიტომ, რომ სამეფო გვარმა, ხალხის ძალდატანებით, ძალიან ადრე შეიგნო მიუცილებლობა თავის უფლების შეკვეცისა და უკვე მეცამეტე საუკუნის დასაწყისიდან დაუთმო ხალხს და ხალხის უფლება გააფართოვა მეფის უფლების ანგარიშზე. ასეთმა წინდახედულობამ ინგლისში ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლა ისე აღარ გაამწვავა, როგორც საფრანგეთში, და მეფეს საპატიო ადგილი შერჩა, რომელიც ინგლისის სამეფო სახლს, პატივს გარდა, კარგ ჯილდოსაც ანიჭებს. საფრანგეთის სამეფო გვარეულობამ კი ჯიუტობასა და გაიძვერულ პოლიტიკისათვის მიიღო ხალხის სიძულვილი, ზიზღი, საშინელი სასჯელი და საუკუნოდ აღიგავა მათი სახელი და აჩრდილი საფრანგეთის ისტორიიდან. ასევე დამართა მეორე სამეფო გვარეულობასაც, რომელმაც სამხედრო სახელით შეიძინა მეფის გვირგვინი და სამხედრო დამარცხებით დაჰკარგა მეფის სახელი და უფლება. ნაპოლეონ I-ის სახელოვანი ომები ნაპოლეონ III-ის სამარცხვინო ომმა დაავიწყა ფრანგებს და ნაპოლეონ მესამესთან ერთად დაიმარხა სედანის ბრძოლაში ბონაპარტების სახელი.

დღევანდელი დღე რუსეთში ისეთი ხანაა, სადაც ხალხისა და ისტორიის მსჯავრის წინაშე უნდა წარსდგეს რუსეთის მონარქიზმის ბედი და იღბალი. მონარქიზმს რუსეთში საბუთი არა აქვს, დაიჩემოს დაცვა თავის ყოფილ უფლებების აჩრდილისაც კი, ვინაიდან მას არ შეუგნია ისტორიისა და რუსეთის ცხოვრების მოთხოვნილება,—პირიქით, სახელმწიფო ძალას სამარცხვინო საფლავი გაუთხარა წყნარ ოკეანესა და მის მიდამოებში. მაგრამ მაინც შესაძლებელია რუსეთში მონარქიული კონსტიტუცია დაწესდეს, თუ ლიბერალებმა და ზომიერ კონსერვატორებმა გაიმარჯვეს.

კონსტიტუციონური მონარქია, არა თუ სახელით განსხვავდება რესპუბლიკისაგან, არამედ მთელის შინაარსით,—აღმასრულებელ მთავრობის მეთაურს—მეფეს—იქ დიდი უფლებები აქვს მინიჭებული. მაგრამ რადგან ზომიერი ლიბერალ-კონსერვატორები რუსეთში, ამ აღელვებულ დროს, ძალიან სუსტნი არიან და, რადგან თითქმის ყველა მოწინავე მებრძოლი ელემენტი მონარქიზმის წინააღმდეგ არის ამხედრებული, რადგან ამასთანავე სამეფო უფლებამ ყოველივე საფუძველი დაჰკარგა რუსეთის ცხოვრებაში, ამიტომ ძალიან ადვილად შესაძლებელია, რევოლუცია რუსეთში დამთავრდეს ისე, როგორც საფრანგეთში, ე. ი. სამეფო ძალის სრულის დამარცხებით და დემოკრატულ რესპუბლიკის დაწესებით.

კონსტიტუციონურ მონარქიაში ხალხის უფლებები მეტ საფრთხეში, ვიდრე რესპუბლიკურ წესწყობილებაში, ვინაიდან ტახტ[illegible] ეცდება დაიბრუნოს თავისი ძალი დიდებისა, ძალი უფლებამოსილობისა. ამიტომ სახელმწიფო წესწყობილება ყოველთვის საშიშარ მდგომარეობაში იქნება და ყოველივე სოციალ პოლიტიკური რეფორმა განსაცდელში ჩავარდება რამოდენიმე ათი და შეიძლება მეტი წლიწადი დასჭირდეს ხალხის წარმომადგენლებს ნამდვილის-უფლებრივის წესწყობილების განსამტკიცებლად. გარდა ამისა, კონსტიტუციონურ მონარქიაშიაც დიდი ფული იხარჯება სამეფო გვარეულობის შესანახავად *).

ვიმეორებთ,—ყველა უკიდურესი პარტიები რუსეთში დღეს რესპუბლიკურ რეჟიმს თხოულობენ და ამასვე მოითხოვენ, როცა დამფუძნებელ კრებაში მოხვდებიან. როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში ქართველობის ტაქტიკა?

როგორც მონარქია, ისე რესპუბლიკაც შეიძლება იყოს ცენტრალისტური და ფედერატიული. პირველ შემთხვევაში მთელს იმპერიას ერთი საკანონმდებლო ორგანო (პარლამენტი) უწერს კანონებს, მეორეში კი— სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილებს, რომელნიც მცხოვრებთა ეროვნებით და არსებობის პირობებით ერთი მეორისაგან განსხვავდებიან, თავ-თავიანთი საკანონმდებლო სეიმები აქვთ და მთელს იმპერიაში ფედერატიულად არიან შეკავშირებულნი. არა-რუს ეროვნებათა ინტერესი და, მათ შორის, ქართველ ერისაც—მოითხოვს, რომ რუსეთში დაარსდეს რესპუბლიკა არა ცენტრალისტური, არამედ—ფედერატიული. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება თითოეულ ეროვნებას დაუბრკოლებელი, თავისუფალი კულტურული განვითარება.

მოსაზრება საზოგადოებრივ-სოციალური, მოსაზრება ეროვნული ავალებს ყოველ ქართველს, რომ რუსეთის სახელმწიფო კონსტიტუციის შემუშავების დროს მხარი დაუჭირონ იმ პარტიებს, რომელნიც დეცენტრულ ფედერატიულ რესპუბლიკის პრინციპს აღიარებენ.

კიტა აბაშიძე.

---

*) მაგალითად, იტალიის სამეფო სახლის შენახვა 25 მილიონ მანათამდე უჯდება იტალიას. ეჭვი არ არის, თუ მეტი არა, ორმოცდა ათი მილიონი მაინც დასჭირდება რუსეთის საიმპერატორო სახლს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

პეტერბურგი, 5 დეკემბერი. მთავრობის განცხადება. რადგანაც ზოგიერთ გაზეთებში 2 დეკემბერს დაბეჭდილი იყო მოწოდებანი, რომელსაც სათაურად ჰქონდა ,,მანიფესტი'', ხელმოწერილი მუშათა დეპუტატების საბჭოსა, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის კომიტეტისა, რუსეთის სოციალ-დემოკრატულ პარტიის კომიტეტისა, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა და პოლონელთა სოციალისტურ პარტიის მიერ, და რომელშიაც ხალხს ურჩევდნენ აჯანყებას და კანონების ურჩ-ყოფას—პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორმა,

---

ფელეტონი

განმათავისუფლებელი მოძრაობა და თავად-აზნაურობა

როდესაც ძველ რეჟიმის მთელი უმსგავსოება საქვეყნოდ გამოააშკარავა შინაურმა მღელვარებამ და საგარეო ომმა (იაპონიასთან), როდესაც საჭირ-ბოროტო საკითხებზე უსიტყვონიც კი ამეტყველდნენ, ცხადია, პოლიტიკურ ასპარეზზე უნდა გამოსულიყვნენ ისეთი საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელნიც წინად სრულიად ჩამკვდარიყვნენ ძველ რეჟიმის აუტანელ სიმძიმის ქვეშ, უნდა ალაპარაკებულიყვნენ ისეთი საზოგადოებრივი წრეებიც, ვისი გულ-გონებაც ერთიანად შებოჭილი იყო საერთო სიბნელე-სივაგლახით.

გლეხ-კაცობის ამოძრავება და აღელვარება ბევრისათვის იყო გასაოცარი, მაგრამ მათი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა საზოგადოების პროგრესიულ ნაწილისათვის დიდის ხნიდანვე იყო მოსალოდნელი. საკვირველი უფრო ის გარემოება შეიქმნა, რომ ოპოზიციონური ხმები გაისმა თვით იმ წოდებაში, რომელიც ძველ რეჟიმის ნასუფრალით იყო გამოკვებილი და დიდის ხნიდანვე ითვლებოდა თვითმპყრობელობის ბურჯად.

ოპოზიციონურმა ელემენტებმა რუსეთის თავადობაში მალე მიიქციეს ყურადღება; ჩვენს თავად-აზნაურობაში კი ასეთი ელემენტები სწორედ მიკროსკოპით იყო საძებარი.

მაგრამ რაკი ჩემს ფელეტონში („გუშინ და დღეს", „ივერია" № 147) მე აღვნიშნავდი ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებას, ახალ მიმდინარეობას, ახალ ელ-ფერს; ვაჩვენებდი ხანუგეშო, ნათელ მხარეებს, ვეძებდი ოპოზიციონურ ელემენტებს და საამისოდ ვსინჯავდი საზოგადოების ყველა ჯგუფებსა და კლასებს, — ცხადია, ვერ დავტოვებდი უყურადღებოდ ჩვენს თავად-აზნაურობას, რადგან, სხვა არა იყოს-რა, რაოდენობით ეს წოდება საგრძნობელ ნაწილს შეადგენს ჩვენის საზოგადოებისას.

ჩვენს თავად-აზნაურობაში, უწინარეს ყოვლისა, მე აღვნიშნავდი მათს გათახსირებულ მდგომარეობას, იქა ვხედავდი რეაქციონერთა ბუნაგს, ტრეპოვის სამასპინძლო სუფრას და მეშჩერსკის საზანდარს, რაიც ბრწყინვალე მეგობრებს უსახსოვრა ცნობილმა ველიჩკომ. მაგრამ განმანთავისუფლებელ მოძრაობას ისეთის ძლიერებით გადმოეხეთქნა ჩვენს ქვეყანაში, რომ თვით ამ გათახსირებულ წოდებაში მე ვამჩნევდი ოპოზიციის ნიშნებს. ჩემს ფელეტონში მე არ მითქვამს, ვითომ მთელი წოდება, ან თუნდ უმცირესობა, შემდგარიყოს ოპოზიციის გზაზე; მე აღვნიშნავდი მხოლოდ თითო-ოროლა პირებს, მე ვწერდი: „დღეს ჩვენს თავად-აზნაურობაშიაც **ვხედავთ კაცებს**", რომელნიც მონაწილეობას იღებენ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში 1).

ეს უკვე საკმაო იყო, რომ ბ-ნ მახარაძეს („მოგზაური" № 40) დაეკრა ბუკი-ნაღარა და ჩემზე მოეთითებინა: „იგი ძალიან გაუტაცნია თავად-აზნაურობის ვექილობის როლსო"; და ეს არც საკვირველია,—განმარტავს იგი:—„ბ-ნ დარჩიაშვილისათვის აუცილებლად საჭირო იყო თავისებურ მჭევრმეტყველობითა და ლოღიკით დაემტკიცებინა გლეხებისთვის, რომ თავად-აზნაურობა, ე. ი. მემამულეები, სრულებით გლეხკაცობის მტერი არ არის, პირიქით, ის გლეხობის ძმა და ამხანაგია, მისებრ გაჭირვებული, მისებრ დაჩაგრული და შეწუხებული". ეს ყველაფერი ჩემთვის თურმე საჭირო იყო, ერთი იმიტომ, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ წარსულ გაზაფხულს „უქვეშევრდომილეს ადრესით" საქართველოს ავტონომია ითხოვა 2), და, მეორეც... ეს კიდევ უფრო საინტერესოა: ,,როდესაც ამღელვარდა გლეხობა,—ამბობს ჩემი „კრიტიკოსი",—თავზარდაცემული მუქთაყლაპია თავად-აზნაურობა იქით ეცა, აქეთ ეცა და, როცა დარწმუნდა, რომ ძალით ვერას გახდებოდა, ძველებური ტაქტიკა შეცვალა: მოდი, ისევ ქედი მოვიხაროთ, თავი მოვიკატუნოთ, გლეხები ჩვენს ძმებად გამოვაცხადოთ, ჩვენი გაჭირვება შევჩივლოთ და, იქნება, ამ ხერხმა გასჭრას, ე. ი., შეიძლება ამით გლეხები დავამშვიდოთ და ძველებურად ვწველოთ (ვწოვოთ?) სულიო! ბ-ნ დარჩიაშვილსაც სწორედ ასეთი ტაქტიკა შეუთვისებია". აი, ასეთი ულმობელია ჩვენი „პროკურორი".

თუ ასეთ ბრალდებაზე პასუხს ვაძლევ, ვიმეორებ, მე სრულებითაც არ მაინტერესებს თვით ,,პროკურორის'' ლათაიები. მე მხოლოდ სახეში მყავნან ,,მოგზაურის'' მკითხველები.

მე ჩემს ფელეტონში განვმარტავდი, რომ, თუ დღეს ოპოზიციონური ხმები გვესმის თავად-აზნაურობის ბანაკიდანაც, არა იმიტომ, რომ ეს ბრწყინვალე წოდება ამოძრავებულიყოს რაიმე განყენებულ სათნოებით ანუ გამსჭვალულიყოს გლეხობისადმი ძმობა-მეგობრობით, არამედ იმიტომ, რომ მას ოპოზიციისაკენ ეწეოდა საკუთარი კლასობრივი ინტერესი. თუ გლეხობას ქედი მოუხრია მონობის მძიმე უღელ ქვეშ, არც თავად-აზნაურობა იყო პოლიტიკურ უფლებებით აღჭურვილი 3), ეკონომიურ ცხოვრებაშიაც მას მოეპოვება საკუთარი საჭირ-ბოროტო საკითხები, რომლის გადაწყვეტაც არ ძალ-უძს თვითმპყრობლობას.

დღეს ჩვენი თავად-აზნაურობა არ წარმოადგენს გაერთიანებულ მასსას. ცხოვრების განვითარებამ აქაც მოახდინა დიფერენციაცია (ნაწილებად — კატეგორიებად დაყოფა-დანაწილება). მსხვილ მემამულეებთან ჩვენ ვხედავთ საშუალო შეძლების პატრონთ, ხოლო ერთი ნაწილი გაღარიბებულ-გაპროლეტარებულია და მით ეკონომიურ-პოლიტიკურად გათანასწორებულია გლეხობის შესაფერ ნაწილთან. მე ვწერდი დასახელებულ ჩემს ფელეტონში, რომ თავად-აზნაურობისა და გლეხობის ამ გაღატაკებულ ნაწილთ უნდა იძმონ და იმოყვრონ ერთმანეთი. ამის შესახებ ჩემი ,,კრიტიკოსი'' გაჰკივის: ,,ვისზე ლაპარაკობს აქ ბ-ნი დარჩიაშვილი? ან, შეიძლება, მას ჩვენი გლეხ-კაცობა ნადირებად და მხეცებად ჰყავს წარმოდგენილი? როდის იყო, რომ მან არ იძმო და არ იმოყვრა ის, ვინც მასავით გაჭირვებულია, ვინც მასავით ერთ ტაფაში იხრაკება?'', რომ განსაზღვრულ ეკონომიურ მდგომარეობას უმალვე არ მოსდევს სათანადო შეგნება, ამის დასამტკიცებლად საკმაოა გავიხსენოთ ფაბრიკა-ქარხნების მუშები. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მუშებს ერთი და იგივე ეკონომიურ-პოლიტიკური ინტერესები აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ იგინი უფრო მოძრავი, ცოცხალი, ფხიზელი ხალხია და უკეთეს პირობებშიაც იმყოფებიან კლასობრივ შეგნების გამოსარკვევად, მიუხედავად ამისა, ყველა ქალაქის პროლეტარები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ შეადგენენ ერთს მჭიდრო, სოლიდარულ ოჯახს, ერთს მტკიცე კავშირს; ქალაქის მუშებთან შედარებით გლეხები კიდევ უფრო უკან არიან ჩამორჩენილნი. მაშასადამე, მუშათა კლასობრივ სოლიდარობაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ არ არის გადამეტებული.

შემდეგ, მე განვიხილავდი ადგილ-მამულის მქონე თავად-აზნაურობას და აღვნიშნავდი, რომ არც ამათ ჰქონდათ საბუთი კმაყოფილნი ყოფილიყვნენ თვითმპყრობელობით 4). ჩემი ფელეტონის თავადი ამბობს: „რა თავში ვიხლი მამულ-დედულს, თუ ის ოხრად, გამოუსადეგრად ეგდება, ან არ შემძლებია ის ამუშავებინოთ, რის მოცემაც მას შეუძლია". აქ ჩემი ,,კრიტიკოსი'' აბორგებული შენიშნავს: ,,როგორც ხედავთ, ბ-ნ დარჩიაშვილის სიტყვით, დიდ მემამულეებსაც აღარ ეცხოვრებათ, თურმე იმათ, მისი აზრით, გამოუსადეგრად უგდიათ მამულ-დედული! მაგრამ ბ-ნი დარჩიაშვილი აქ არ გამოდგება მოწმედ: მას მემამულეების ვექილობა უკისრია, და ამიტომ ჩვენ მეორე მოწინააღმდეგე მხარეს უნდა შევეკითხოთ, თვით ცხოვრება, სინამდვილე უნდა ვიმოწმოთ. მაშინ ჩვენ გავიგებთ, თუ როგორ ოხრად და გამოუსადეგრად უგდიათ ჩვენს მემამულეებს მიწები; მაშინ ჩვენ შევიტყობთ, თუ რა ღალებს და სხვადასხვა გადასახადებს იღებენ ისინი გაღატაკებულ და მშიერ-მწყურვალ გლეხებისაგან''. ამგვარად, ბ-ნ მახარაძის აზრით, თუ მამული აძლევს ღალებს, და ამ ღალების გადამხდელი გაღატაკებული და მშიერ-მწყურვალი გლეხია, მაშინ მემამულე ბედნიერი კაცია, მას შეუძლიან მუხლი-მუხლს შემოსდოს და გაუთავებელი არხალალო იძახოს, მაგრამ შეგნებულ მემამულეთ ცოტა უფრო უკეთ ესმით თავისი ეკონომიური ინტერესები, ვიდრე ჩვენს ,,ეკონომისტს'' და ,,სოციოლოგ ისტორიკოსს''—ბ-ნ მახარაძეს.

თვითმპყრობელობა დიდი ხნის განმავლობაში ბეჯითად ცდილობდა შეენარჩუნებინა ბრწყინვალე წოდების ერთგულება; ერთ ხანს სამაგალითოდ აღწევდა კიდეც ამ მიზანს სხვადასხვა შეღავათებით, პრემიებით, ბანკებით, წოდებრივ უპირატესობით, რასაც იგი უხვად აფრქვევდა ბრწყინვალე თავად-აზნაურობაზე. მაგრამ ძველმა რეჟიმმა საბოლოოდ ვერც აქ მოისყიდა ისტორია. დადგა ჟამი და წოდებამაც ზურგი აქცია თვითმპყრობელობას. საზღვარ-გარეთის პრესაში—ვფიქრობ, აქაურსაც არ უნდა გამოეპაროდა ეს—გამოქვეყნებულ აუარებელ ცნობებიდან ვიცით, თუ, რუსეთის ოპოზიციონურ თავად-აზნაურობასთან შედარებით, რა საცოდავი იყო რიცხვი იმ თავადებისა, ვინც უქვეშევრდომილეს ადრესებით კულინდებურად ერთგულებას აფიცებოდნენ თვითმპყრობელობას.

მერე, რამ გადაიბრუნა ეს ძველ რეჟიმის ბურჯი წოდება? არ ვიცი, ამას როგორა ჰხსნის ჩემი მატერიალისტ-სოციოლოგ-კრიტიკოსი — ბ-ნი მახარაძე. მარა, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ წერილში მოყვანილ მეორე ციტატას მისი სტატიიდან, უნდა ვიფიქროთ, რომ, მისი აზრით, თავად-აზნაურობა ოპოზიციონურ გზაზე შეაყენა იმ გარემოებამ, რომ ბრწყინვალე წოდებას შეეშინდა გლეხობისა და, რაკი ნათქვამია, შიში შეიქმს სიყვარულსაო, თავადობამაც გლეხობას სიყვარული გამოუცხადა და ეს საქმითაც დაამტკიცა, ოდეს თვითმპყრობელობას იგი გადაუდგა. ჩემის აზრით კი, სოციალურ მოვლენათა ახსნა ძველის კარაბადინით შეუძლებელია. ახსნა უნდა მოვძებნოთ სწორედ ეკონომიურ მიზეზებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი და რუსეთის თავად-აზნაურობა კიდევ სარგებლობს ბატონყმობის ნაშთებით, იგი არსებითად მაინც უკვე მემამულე-ბურჟუაზიული კლასია. თავის კლასობრივ აზროვნება-მოქმედებაში იგი მიუცილებლად ემორჩილება ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ განვითარების კანონებს. თავად-აზნაურობის სოციალური ბედ-იღბალიც დამოკიდებულია კაპიტალიზმის განვითარებაზე.

მართალია, ჩვენი მემამულე თავად-აზნაურობა ღალებსა ჰკრეფავს მშიერ-მწყურვალ გლეხებისაგან, მაგრამ ეს ღალები მცირედი რამეა იმასთან შედარებით, რაც მათ შეეძლოთ ამოეღოთ იმავ მამულებიდან უკეთეს პირობებში. ბ-ნ მახარაძეს —ეს ღალებიც ჭეპვრება და მე მესმის კიდეც ადამიანის პსიხოლოგია. მაგ., „მოგზაურის" მუშაკ-მწერალისათვის საჭიროა, დღე და ღამე გაასწოროს, რომ ყველისა და პურის ფული აიღოს, თავადები კი იმდენ ღალებსა ჰკრეფავენ თით-გაუნძრევლად; რა თქმა უნდა, ეს ღალები „ქვაც არის და კაჟალიც, ცხოვრებაც და სიკეთეც". თვითონ მემამულენი კი ასე არა მსჯელობენ. იმათი სული კაპიტალისტურია. მათი სურვილიც სიმდიდრე-მოგების შეძენისა—განუსაზღვრელია და წრე დაუდებელი. ჩვენის თავად-აზნაურობის ღალები სწორედ უმნიშვნელო გროშებია იმ მილიონებთან შედარებით, რაც მათ შეეძლოთ ამოეღოთ თავიანთ მამულებისა და მთა-ბარისაგან განვითარებულ მეურნეობა-მრეწველობის დროს. მეურნეობა კი ვერ განვითარდება, ვერ შემოვა ინტენსიური კულტურა, გაუმჯობესებული სამუშაო იარაღები, მანქანები, როდესაც ვაჭრობა-აღებ-მიცემობა დაცემულია, მრეწველობა შეფერხებული, გაუთავებელი ეკონომიური კრიზისებია, ხალხი უზომოდ გაღატაკებულია და გონებრივ სიბნელეშია გამოხვეული... ბ-ნი მახარაძე გაანჩხლებული მაწყევლინებს სიტყვას: „საკვირველი ის არის, თუ რომელის ლოღიკის ძალით ჩახხირა ბ-ნმა დარჩიაშვილმა აქ გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, მანქანები, ბაქები, სამიმოსვლო გზები, ვაჭრობა აღებ მიცემობის დაცემა, კრიზისები და ბოლოს საერთო სიბნელე?". („მოგზაური" № 40, გვ. 632).

ავიჭურვოთ მოთმინებით და განვუმარტოთ. როგორც ყოველ გვარ წარმოებისათვის, ისე

---

1) მართალია, მე მაშინ ვფიქრობდი, რომ ამ კაცების რიცხვი მალე საგრძნობლად გაიზრდებოდა, მაგრამ მათი რიცხვი დღესაც ისევ დიოგენის ფარნით არის საძებარი, როგორც გუშინ.

2) ამაზე იხ. ჩემი პასუხი „ივერიის" წინა ნომერში. ბ-ნი მახარაძე „მოგზაურის" უკანასკნელ ნომერში იმასვე იმეორებს და ღეჭავს, რაც მან სთქვა თავის პირველ „ორჭოფობა და პირდაპირობაში".

3) ჩემი ფელეტონი, ბ-ნ მახარაძისაგან გაკრიტიკებული 13 ნოემბერს, დაბეჭდილია 20 აგვისტოს „ივერია"-ში. დღეს თავად-აზნაურობას უკვე მოეპოვება პოლიტიკური უფლებანი 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით.

4) მე აქ აღარ შევეხები პოლიტიკურ მიზეზებს, რადგან დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ გუშინდელ რეჟიმის (თვითმპყრობელობის) დროს თავად-აზნაურობას არავითარი ხმა არა ჰქონდა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში.

ყოველდღიურ გამოცემის შესახებ მიმდინარე წლის 24 ნოემბერს უმაღლესად დამტკიცებულ წესების მე 71 მუხლის ძალით, ეს საქმე სამოსამართლო პალატას გადასცა. სამოსამართლო პალატამ იმავე დღეს, საგანგებო კრებაზე, დაადგინა, დაიჭიროს 2 დეკემბერს გამოცემული ნომრები და სასამართლოს განაჩენამდე შეაჩეროს შემდეგი გაზეთები: ,,სინ ოტეჩესტვა'', ,,ნოვაია ჟიზნ'', ,,ნაშა ჟიზნ'', ,,სვობოდნი ნაროდ'', ,,ნაჩალო'', ,,რუსკოე სვობოდნოე სლოვო'' და ,,რუსკაია გაზეტა''. ეს დადგენილება ეცნობა ბეჭდვითი სიტყვის მთავარ გამგეობას.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა გზათა მინისტრის წინადადება და დაადგინა, გადასდოს 16,000,000 მანათი რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გამოქვეყნებულია დროებითი წესები, რომლითაც დაისჯებიან ერთი-ერთმანეთში მოლაპარაკებით თავის ნებით მუშაობის შემწყვეტნი მთავრობის იმ დაწესებულებებში, რომელთაც საზოგადო და სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს.

ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობის ცნობებიდანა სჩანს, რომ მომავალ წლის დასაწყისიდან უმატდება ფოსტა ტელეგრაფის მე 6 ხარისხის მოხელეთა უმცირესი ჯამაგირი. ამასთან უმცირესი ჯამაგირი ხსენებულ მოხელეებისა სატახტო ქალაქებსა და შიდა-გუბერნიების დიდს ქალაქებში დანიშნულია 463 მან., დანარჩენ ადგილებში 432 მან. (360 მან. ჯამაგირი და 72—108 მანეთამდე სადგომის ქირა). სოფლებში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებების უფროსების ჯამაგირები ავა 450 მანათამდე, თუ სახაზინო სადგომები აქვთ. ამას გარდა, 1906 წლიდან ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯთ-აღრიცხვის ყოველ წლიურად გადადებული ფული იმატებს 50%. (835,000 მანათის მაგიერად 1,350,000 მან.), რაც შეძლებას მისცემს მთავრობას გააძლიეროს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა რიცხვი და ამით შეამციროს მათი მუშაობა. ამას გარდა, სახელმწიფო საბჭომ ამ დღეებში გარდასწყვიტა: გადასდოს 500,000 მანათი იმ მოხელეების დახმარების აღმოსაჩენად, რომელთაც, ოქტომბერში მომხდარ რკინის გზების გაფიცვების გამო, გადამეტებული მუშაობა შეხვდათ.

ახალი ამბავი

—

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ **წერილები დაუგზავნა** ამავე საზოგადოების წევრებს, რითაც მოაგონა მათ საზოგადოების უკიდურესი მდგომარეობა და სთხოვა, დააჩქარონ საწევრო ფულის შემოტანა.

◆ ტფილისში და მის ახლო-მახლო მიდამოებში **დიდი თოვლი დასდო.** გუშინ და გუშინ-წინ ამის გამო კავკავიდან საქართველოს სამხედრო გზით დელეშები არ მოსულა და სატახტო ქალაქის გაზეთები ბაქო-ბალაჯარის გზით მოდის მატარებლებით, ხოლო ფოსტა ტელეგრაფი კი ისევ განაგრძობს გაფიცვას. თოვლმა გუშინ-წინ ტფილისში მრავალს ალაგას ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები დასწყვიტა, რომლის შეკეთებაც ახლა, ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვისა გამო, შეუძლებელი შეიქმნა. გუშინ და გუშინ-წინ ტფილისში შეჩერებული იყო აგრეთვე ელექტრონის ტრამვაის მოძრაობაც, რადგან თოვლმა ელექტრონის მავთულები ბევრგან დასწყვიტა.

◆ ტფილისის **პოლიციის მაღალ და დაბალ მოხელეებმა**, პოლიცმეისტრის თანაშემწის მანდრიკინის მეთაურობით, შეიმუშავეს თავიანთი მოთხოვნილებანი, რომელსაც ამ დღეებში წარუდგენენ მთავრობას. პოლიციელთა მოთხოვნილებაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ პოლიციას არამც და არამც არ დაეკისროს ხოლმე, ეგრედ-წოდებული, „პოლიტიკური საქმე“, მოისპოს პოლიციელებისთვის დავალება ამა თუ იმ კაცის გაჩხრეკისა, აეკრძალოთ საიდუმლო პოლიციის მოხელეებს საზოგადო პოლიციის მოხელეთა მუნდირის ტარება, პოლიცია სავსებით გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას საკუთარს განკარგულებაში, ის 200,000 მანათი, რომელიც გადადებულია კავკასიის პოლიციის უფროსის გენ. შირინკინის განკარგულებაში საიდუმლო პოლიციის მოხელეთა დასასაჩუქრებლად ,,ერთგულ სამსახურისთვის'', მოხმარდეს საზოგადო საჭიროებას, გენ. შირინკინის-მიერ რუსეთიდან ტფილისში ჩამოყვანილი ჯაშუში ქალები დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნენ და რუსეთშივე გაიგზავნონ, სრულებით გაუქმდეს საიდუმლო პოლიცია, საქალაქო პოლიციას შესაფერად მოემატოს ჯამაგირები და მათი მოვალეობა იყოს მხოლოდ წესიერების დაცვა, ქურდებისა და ავაზაკებისათვის თვალყურის დევნება და სხვა.

◆ 15 დეკემბრიდან ქართულ წარმოდგენების მართვა ისევ განახლდება. ქართველი მსახიობნი დათანხმებულან ნახევარ ჯამაგირზე. ქართულ დრამატიულ დასს განზრახვა აქვს, სხვათა შორის, ამ სეზონში წარმოადგინოს მუშათა ცხოვრებიდან აღებული ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი პიესა ,,ფეიქრები'' და სემ-ბენელლის 4 მოქმედებიანი დრამა ,,ფერდინანდ ლასსალი'', თუ, რასაკვირველია, დასისგან დამოუკიდებელმა სხვადასხვა მიზეზებმა ხელი არ შეუშალა.

◆ როგორც ვიცით, ტფ. საარტისტო საზოგადოების თეატრში რუსულ დრამის ანტრეპრენიორმა ნ. კრუჩინინმა **თავი დაანება ანტრეპრიზას** და არტისტები დაითხოვა. ამის გამო უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, ეგრედ-წოდებული, „მეორე და მესამე-ხარისხოვანი“ მსახიობნი, რომელთაც იმდენი სახსარი არა აქვთ, რომ თავ-თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ქალაქებში დაბრუნდნენ. ამიტომ მათ მიჰმართეს კავკასიის უმაღლეს მთავრობას და დახმარება სთხოვეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით უკანასკნელისაგან არავითარი პასუხი არ მოსვლიათ.

◆ ამ სამის კვირის წინად რევოლვერით **მძიმედ დაჭრილი გამომძიებელი და მწერალი ნიკო ხიზანაშვილი** მალე სრულიად განიკურნება და საავადმყოფოდანაც გამოიწერება.

◆ კვირას, 4 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, დიდძალ ხალხის თანდასწრებით, ტფილისის სახლების პატრონების კრება მოჰხდა. განსახილველი იყო საგანი ტფილისში თავის დაცვის ორგანიზაციის მოწყობის შესახებ, რადგან მოსალოდნელია ხულიგანების მიერ სახლების ცეცხლის მოკიდება და ძარცვა-რბევა. ამასთანავე გამოირკვა, რომ ბევრს უბანში თავის დაცვის ორგანიზაცია უკვე დაარსებულა და ყარაულობენ მხოლოდ სახლების დამქირავებელნი, სახლის პატრონები კი თავის დაცვაში არავითარს მონაწილეობას არ იღებენ. ხანგრძლივ კამათის შემდეგ გადასწყდა, ყოველს საპოლიციო უბანში დაინიშნოს კრება და ამოირჩეს ბიურო, რომელმაც თავის დაცვის ორგანიზაციის პროექტი უნდა შეიმუშავოს, შემდეგ კი დაინიშნოს ყველა უბნების სახლის პატრონებისა და სახლის დამქირავებლების შეერთებული კრება, რომელზედაც უნდა გადასწყდეს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს თითოეულ უბნის ბიურომ. ამავე კრებაზე უნდა არჩეულ იქმნეს ცენტრალური ორგანო, რომელმაც თავის დაცვის ორგანიზაციის საქმეს ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს.

◆ ტფილისში მყოფ ჯარებმა ბრძანება მიიღეს, **არ ჩამოართვან იარაღი** არც ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და არც მოქალაქეებს. ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალმა მალამამ განკარგულება მოახდინა, დაუბრუნონ იარაღი იმ დრუჟინნიკებსა და მოქალაქეთ, რომელთაც იგი ჩამოართვეს.

◆ მე-10 პოლიციის უბანში პოლიციის მოხელეთ **დააარსეს ამხანაგთ სასამართლო.** ამ დღეებში გაასამართლეს გოროდოვოი კარპოვი, რომელსაც დაუმტკიცეს პროვოკატორობა და მოსთხოვეს ბოქაულს კარპოვის სამსახურიდან გადაყენება. ეს გარდაწყვეტილება ბოქაულმა სისრულეში მოიყვანა. (ვოზრ.).

◆ ილია მიხეილის ძე ხარაშვილმა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მილიციას **უფასოდ გამოუგზავნა 38 წყვილი ნაბდის საზამთრო ჩექმა.**

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა **ადგილობრივ მთავრობას განუცხადა:** ,,რადგან მუქარის წერილები მომდის, გთხოვთ ჯარი გამოგზავნოთ სემინარიის დასაცველად, რომ უბედურება არაფერი მოხდეს''. რექტორის თხოვნა შეიწყნარეს და გუშინწინ, 6 დეკემბერს, გაგზავნეს ერთი ასეული ჯარის კაცი, რომელნიც სემინარიაში დაბინავდნენ.

◆ გუშინ, 7 დეკემბერს, სახელმწიფო შემნახველ კასიდან ფულის პატრონებს **ანგარიშს არ უსწორებდნენ**. კასის წინ ჯარი იდგა და კასაში არავის უშვებდა.

◆ ტფილისში მოსულ ცნობებით, სად. სუფსაზე **მოუკლავთ სად. ბათუმის დეპოს უფროსი ობოლენსკი.**

◆ კახეთიდან გვატყობინებენ, რომ წინანდალში მოჰკლეს **ადგილობრივი პოლიციის ბოქაული** აპუშკინი.

◆ სამშაბათს, 6 დეკემბერს, გამოვიდა პირველი ნომერი **სოციალდემოკრატიულ გაზეთის „სხივისა“.** როგორც კავკასიის ს.-დ. მუშათა ორგანიზაციების ბიურო (მეუმცირესეთა ფრაქცია) აცხადებს, „სხივი“ პარტიის ორგანოა და გამოვა ნაცვლად არა-ლეგალურ „სოციალდემოკრატისა“.

◆ გაზეთ ,,კავკაზ''-ის რედაქტორად დამტკიცებულ იქმნა **ნაფიცი ვექილი პ. ა. ოპოჩინინი.** მის რედაქტორობით გაზეთი პირველ იანვრიდან გამოვა.

◆ ბორჩალოს მაზრაში ხალხის დასამშვიდებლად გაგზავნილი დეპუტაცია **უკვე დაბრუნდა.** დეპუტაციამ მაზრაში ხუთი დღე დაჰყო და ყოველის ღონისძიებით სცდილობდა, ხალხი დაემშვიდებინა.

◆ სანამ ბაქოში გრადონაჩალნიკობას დააწესებდნენ, ქალაქი ბაქო და ბაქოს მაზრა **დაექვემდებარა დრ. გენერალ გუბერნატორს** გუბერნატორი მისს საქმეებში აღარ ერევა.

◆ დ. ონში სახელმწიფო დაწესებულებათა საყარაულოდ იდგა ერთი როტა ბესარაბიის პოლკისა. სათადარიგო ჯარის კაცთა წასვლის შემდეგ, როტაში დარჩა 18 კაცი, რომელთაც ონში დარჩენა აღარ ისურვეს, **მიატოვეს ფოსტა და ხაზინა და წამოვიდნენ.** ონში ახალი ჯარის გაგზავნას აპირობენ. (ც. ფ.).

◆ ტფილისის საგუბერნიო საპყრობილისა და მეტეხის ციხის ზედამხედველმა კაცებმა, ზედამხედველმა ქალებმა და მოსამსახურეებმა ტფილისის გუბერნატორს პეტიცია წარუდგინეს, რომელიც 32 მუხლისაგან შესდგება. მოგვყავს აქედან რამდენიმე მუხლი, რომელიც უფრო საყურადღებოა. 1) მოემატოს ჯამაგირები და პენსიები, 2) ზედმეტ ნამუშევარის ფული თავის დროზე მოგვცეს. 3) თუ რომელიმე მოსამსახურე სამსახურის აღსრულების დროს ისე დასახიჩრდება ან დაშავდება, რომ სამსახური აღარ შეეძლება, მიეცეს ერთდროებითი დახმარება, იმის მიხედვით, თუ რამდენი წელიწადი უმსახურნია. 4) სახლის ქირად თითოეულს კაცს ჯამაგირის ერთი მესამედი მიეცეს. 5) გულსა და ქუდზე ნომრები გაუქმდეს, რადგან ნომერი ქამარზედაც საკმარისია. 6) ჩვენი შვილები სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდნენ იმ სასწავლებელში, რომელსაც მოვანდომებთ. ამასთანავე, დაარსდეს ხაზინის ხარჯით სპეციალური მოსამზადებელი სკოლა, სადაც ჩვენი შვილები ისწავლიან; 7) საპყრობილის ბიბლიოთეკა გაფართოვებულ იქმნეს და წიგნების ამორჩევის უფლება ჩვენც მოგვეცეს, 8) გადიდდეს მოსამსახურეთა შტატი, 9) უფროსები ზრდილობიანად გვეპყრობოდნენ. 10) არც ერთი ამხანაგი არ იქმნეს დათხოვნილი, თუ არა ამხანაგთ სასამართლოს გარდაწყვეტილებით. 11) აღდგომას ერთის თვის ჯამაგირი საჩუქრად მოგვეცეს და 12) ციხესთან დაარსდეს სკოლა, სადაც შეგვეძლოს საზოგადო განათლების საგნები შევისწავლოთ.

◆ 3 დეკემბერს სახალხო მატარებლით მოსკოვში 25 ობერ-ოფიცერი წავიდა.

◆ ფოთი, 7 დეკემბერს დაბრუნდა ქუთაისში როტა ბელოსტოკის კაზაკებისა. ფოთის სატვირთო მატარებლის კონდუქტორებმა თავიანთის ნებით გადააყენეს სახალხო მატარებლის კონდუქტორები და მატარებლებს თვითონ ატარებენ. ამ გარემოებამ კონდუქტორებში უსიამოვნება გამოიწვია. ის ცნობა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინად „ვოზროჟდენიეში“ იყო დაბეჭდილი, ვითომ სარევოლუციო ორგანიზაციებმა ჩაიგდეს სამგზავრო ბილეთები, გასცეს და ბილეთებს თავიანთ სასარგებლოდ ჰყიდიანო, ტყუილია. ორგანიზაციების მილიცია სადგურებზე წესრიგს სამაგალითოდ იცავს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობასათვის პეტერბურგიდან ხაზინაში გადმოიტანეს 600,000 მ.

◆ რაც სომეხთა და თათართა სისხლის ღვრა დაიწყო, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბევრ სადგურებიდან (შამხორი, დალიარი, ევლახი, ქურდამირი, თაუზი, ადსტაფა) სულ ერთი და იგივე დეპეშები მოსდით გავლენიან კაცებს: იწამეთ ღმერთი და ჯარი მოგვაშველეთო.

სამწუხარო ამბები ხდება ზოგიერთს სადგურებზე. სადგურ ფოილოში, 4 დეკემბერს, სახალხო მატარებლიდან თათრებმა მოიტაცეს ერთი სომეხი მგზავრი, არაქელიანცი და იქვე მოჰკლეს. ადსტაფაში, 6 დეკემბერს, სახალხო მატარებლიდან № 17 გაიტაცეს განჯის მცხოვრები სომეხი მანუჩარ ოგანოვი და სასიკვდილოდ დასჭრეს. 6 დეკემბერს, ღამით, ცხრამეტი ვაგონი გაძარცვეს.

◆ დოლიარი, 4 დეკემბერს, დილის 10 საათზე, სახალხო მატარებლიდან № 3, დოლიარსა და ძეგამს შუა, ვიღაცამ ვაგონიდან გადმოაგდო ხანჯლით სახეს და თავში დაჭრილი თათარი.

◆ ადსტაფა. 4 დეკემბერს, როდესაც სახალხო მატარებელმა № 17 გაიარა, სადგურიდან ორ ვერსის სიშორეზე, ლიანდაგთან ვაგონიდან მოჰკლეს ორი თათარი.

◆ სამშაბათს, 6 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, მესამე საპოლიციო ნაწილში, საპირონის ქუჩაზე, ორი მთვრალი ხულიგანი მიდიოდა, რომელნიც გამვლელ-გამომვლელთ ეჯახებოდნენ და თანაც უშვერის სიტყვებით აგინებდნენ. ერთ გამვლელს დაეჯახნენ და წააქციეს, ხოლო, როცა უკანასკნელმა უსაყვედურა თავხედობისათვის, ერთმა მათგანმა რევოლვერი ამოიღო, რამდენჯერმე დასცალა და იქვე მახლობელ სახლში მიიმალა.

◆ კვირას, 4 დეკემბერს, შუაღამის 12 საათზე, მთაწმინდაში, თონეთის შესახვევში, ვიღაც ხულიგანებმა ორჯერ რევოლვერი დასცალეს და გაიქცნენ. მთაწმინდის თვითდამცველი რაზმი გამოუდგა ხულიგანებს, მაგრამ უკანასკნელთ დამალვა მოასწრეს. მთაწმინდის თვითდამცველმა რაზმმა გადასწყვიტა, რადგან პროვოკატორ-ხულიგანთა საზიზღარ მოქმედებას ბოლო არ ედება, ამიერიდან პირდაპირ ესროლონ, თუ შეამჩნევენ, რომ ხულიგანი პროვოკატორულის აზრით რევოლვერს გაისვრის.

შეცდომის გასწორება. „ივერიის“ კვირის №-ში (219) მოთავსებულია შემოწირულება გურულთა სასარგებლოდ, შეკრებილი ლევან კიზირიას-მიერ. შემომწირველთა სიაში შეცდომით გამოკლებულია ბ-ნ გიორგი ზუკაკიშვილის ორი (2) მანათი, ხოლო შემოწირულების ჯამი კი (37 მან. 20 კაპ.) გაზეთში სწორედ არის ნაჩვენები.

ქუთაისის ცხოვრება

—

კავკასიის ნამესტნიკმა შეიწყნარა ქუთაისელების შუამდგომლობა ქალაქიდან [illegible] შესახებ. კაზაკებს გაიყვანენ არა მარტო ქალაქ ქუთაისა-

---

მეურნეობისათვისაც, საჭიროა შინაური და საგარეო ბაზარი. შინაურ ბაზრის გასაფართოებლად დიდი მნიშვნელობა აქვს „ნაციონალურ შრომის დიფერენციაციას, დანაწილება-სპეციალიზაციას (როცა ხალხის ერთი ნაწილი ადგას ერთ განსაკუთრებულ დარგს წარმოებისას, მეორე—მეორეს და სხ.), მეურნეობასთან უნდა ვითარდებოდეს მრეწველობა, მანუფაქტურული წარმოება. მეურნეობის ასაღორძინებლად საჭიროა მიწის მობილიზაცია. როგორც მიწის პატარა ნაჭრები შეუსაბამოა თანამედროვე მეურნეობისათვის, ესევე არ არის ხელ-საყრელი აუარებელ ხოდაბუნების (ლატიფუნდიების) ერთ მეურნეობაში მოგროვება. მიწა მცონარა ხელიდან უნდა გადადიოდეს წარმოების უნარის მქონე ხელში; ამიტომ მეურნეობა მომგებიანი უნდა იყოს. მას უნდა მუშტარი ჰყავდეს. სამეურნეო ნაწარმოები არ უნდა ჯდებოდეს ძვირად. საჭიროა მიწის სისტემატიური განაყოფიერება, თანახმად ახალის ტექნიკისა, საჭიროა ახალი, გაუმჯობესებული იარაღები, მცოდნე, პროფესიონალურად განსწავლული მუშა-ხელი, ინტენსიური კულტურა. მხოლოდ ამ პირობებით შეუძლიან სამეურნეო ნაწარმოებს კონკურენცია გაუწიოს უცხოეთის მეურნეობას.

თვითმპყრობელობა კი იმდენად დაავალიანდა უცხოეთის სახელმწიფოებთან, რომ, რაც უნდა ყოფილიყო და როგორც უნდა ყოფილიყო, მაინც დიდძალი სულადი უნდა გაეტანა საზღვარ-გარედ. აქედან მიუცილებელი შედეგი არის ხორბლის დაბალი ფასები. დაბალი ფასი უნდა იგულისხმებდეს წარმოების დაბალ ხარჯებს. ეს კი მეურნეობაში შესაძლებელია ექსტენსიურის სისტემით, როცა ყველა ნაყოფიერებას იღებ მიწიდან და უკან კი არაფერს უბრუნებ. ასეთი სისტემა, რასაკვირველია, მოითხოვს ახალ ახალ მიწებს. გამოფიტულ მიწების სივრცე რუსეთში სწრაფად მატულობდა. ხალხი უნდა გადასახლებულიყო ახალ მიწებზე. აქედან გამომდინარეობს მთავრობის აგრესიული პოლიტიკა ახალ, შორეულ ქვეყნების დასაპყრობად, რასაც თან მოჰქონდა მთავრობის ყოველ მხრივი გაკოტრება.

მთავრობას რომ შესძლებოდა უცხოეთიდან ახალ სესხების აღება, ჰქონოდა ხაზინაში განსაზღვრული რაოდენობა ოქროსი, რათა ყოველთვის ეთქვა კრედიტორებისთვის,—ჩემი ასიგნაციები მოთხოვნილებისათანავე შემიძლიან გაგინაღდოთ ოქროზე, მთავრობას რომ შეერჩინა განსაზღვრული ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში, ყველა ამისთვის მას სჭირდებოდა, რომ საზღვარ-გარედ გაეტანა ხოლმე (ექსპორტი) მეტი საქონელი, ვიდრე იქიდან შემოიტანდა (იმპორტი). ყოველწლიურად ექსპორტი 35 მილიონით მეტი უნდა ყოფილიყო იმპორტზე. ამიტომ მთავრობა ყოველგვარ ხელოვნურ საშუალებით ამცირებდა იმპორტს და აძლიერებდა ექსპორტს, აწესებდა უმაღლეს ტარიფებს შემოტანილ საქონელზე, აძლევდა პრემიებს გატანილ საქონელზე თუ კონფერენციალურ ტარიფით, თუ გატანილ საქონელზე ბაჟების უკან დაბრუნებით, როგორც ეს იყო ხოლმე ბამბეულობის, შაქრის, სპირტეულობის და ნავთის გატანისთვის.

მაღალმა ბაჟებმა გააძვირა ცხოვრება, წინ გადაეღობა მეურნეობის განვითარებას. რუსეთში, მაგ., ფუთი შაქარი ჯდება 1.80 მან. მარა, აქციზ-ბაჟებისა და შუამავალთა მეოხებით, იგი იყიდება 4.80—5.60 მანეთად (და მეტადაც), რკინეულობის ფასმა აიწია 50%-ით, ასე რომ, სამეურნეო მაშინა, რომელიც ბერლინში იყიდება 34,000 მანათად, რუსეთში ღირს 50,000 მანათად. უკანასკნელ წლებში კიდევ ფასებმა იმატა 300%-ით, ასე რომ, სრულიად გაძნელდა ან შეუძლებელი გახდა სამეურნეო მაშინების შეძენა.

რუსეთს არ შეეძლო, ნაცვლად დაუმუშავებელ მასალის საზღვარ-გარედ გზავნისა, უცხოეთს შეჰქიშპებოდა იაფისა და უკეთეს ღირსების მანუფაქტურულ საქონლის გზავნით. ამას წინ გადაეღობა თვითმპყრობელობა ამ უკანასკნელისათვისაც აუცილებელი შეიქმნა ზემოხსენებული გზა სავაჭრო ბალანსის დასაცავად.

საერთაშორისო ბაზარზე რუსეთს თავში სცემდნენ იმიტომ, რომ რუსეთის მუშაკის შრომა არ არის ბარაქიანი, ვინაიდან ის, უცხოელ ამხანაგებთან შედარებით, უკან ჩამორჩენილია,—უცოდინარი, გალატაკებული და დაბეჩავებული. მუშების ასეთ მდგომარეობის შენახვა კი მთავრობის მიზანს შეადგენდა. ერთი რომ—მუშების საზოგადო თუ ტექნიკური განათლება ითხოვდა ფულს, ფული კი მთავრობას სჭირდებოდა ჯარების, ფლოტის გასამრავლებლად, გასაძლიერებლად, ჟანდარმერიის, პოლიციის, ჯაშუშების შესანახად, საპყრობილეების ასაგებად, სტრატეგიულ რკინის გზების გასაყვანად [5]. მეორე მხრივ, მუშების ყოველივე გონებრივ სინათლის შუქი მთავრობის წინააღმდეგ შეტრიალებული მახვილი იქნებოდა. მთავრობას სჭირდებოდა ხალხის გონებრივი სიბნელე, რათა მას არ შეეგნო თავისი მდგომარეობა და არ აჯანყებულიყო, „ბუნტი“ არ მოეხდინა.

ამგვარად, მთავრობამ დასცა ქვეყნის მთელი ეკონომიური ცხოვრება. დასცა მეურნეობაც. აი, ამიტომ, როდესაც გარემოებამ მოიტანა, მემამულე თავად-აზნაურობამაც დაილაპარაკა: „აღარც მე მინდა თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს კონსტიტუციასო!“.

ჩვენს თავად-აზნაურობას—და საზოგადოდ მემამულეებს, კაპიტალისტურ განვითარების ისეთი პრიმიტიული პირობებიც კი არ მოეპოებათ სავსებით, როგორც არის საკუთრების უფლების განმტკიცება. მოგეხსენებათ, რომ მამულების გამიჯვნის საქმე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის მოწესრიგებული. არა-იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა თვითონ თავადები ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ და ხანჯალს ატრიალებენ მამულების სადავო საკითხების გამო. [6] ამ საგანს მე გაკვრით შევეხე ჩემს ფელეტონში „ივერია“ 147 და მით გადავიმტერე ჩემი გაშუპრული კრიტიკოსი, „ბ-ნ დარჩიაშვილის სიტყვით,—დაღადებს იგი,—ის განხეთქილება, რომელიც არსებობს მიწათ მფლობელებსა და მიწის მუშებს შორის, ე. ი. მთელი აგრარული საკითხი იგივეა, რაც თვით თავადებსა და სხვა თავისუფალ მემამულეებში დავაა ატეხილი მიწათმფლობელობის ნიადაგზე“. საიდან, ჩემი ფელეტონის რომელ სტრიქონებიდან ამოიკითხა ასეთი აზრი, კრიტიკოსი ამას არ გვიმხელს. მე კი რომ არ შემეძლო ასეთ აზრის გამოთქმა, ამას ჰმოწმობს იმავე ჩემ ფელეტონის თუნდ ის ადგილი, სადაც მე ვლაპარაკობ ბატონყმობის ნაშთების მოსპობაზე. ბატონ-ყმობა არ ყოფილა და არც არის ბატონსა და ბატონს შუა, არამედ ბატონსა და ყმებს შუა, გლეხებსა და თავადებს შორის,—(თქვენა გგონიათ, ბ-ნი მახარაძე მიხვდება ამ მარტივ აზრს? ღმერთმა ჰქმნას, მე კი ძალიან ვეჭობ) რომ ბატონ-ყმობა იგივე კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობაა, ეს იცოდა ჯერ ისევ ოძელაშვილმა არსენამ.

მაგრამ ჩემი კრიტიკოსი არაფერს და არავის არ დაგიდევს, იგი საკუთარ აჩრდილებს ეკამათება [7] და პირდაპირ დაასკვნის: „ამნაირად ჩვენ დავინახეთ, რომ ბ ნი ვლ. დარჩიაშვილი თავის პირველ წერილში თავად-აზნაურობისა და გლეხ-კაცობის ურთიერთშორის უარყოფს განხეთქილებას, ინტერესთა წინააღმდეგობას, რაც იმავე დროს ნიშნავს კლასობრივ ბრძოლის უარყოფას“ [8] „მოგზაური“ № 41).

ნამდვილად კი ჩემს ფელეტონში ნათქვამია, რომ გლეხებს, როგორც წარსულში, ისე დღესაც, ბევრი უსამართლობა და სიდუხჭირე ატყდებათ თავადებისაგან; რომ გლეხებსა და თავადებს შორის „სამიწად-მფლობელო და წოდებრივი საქმეებია გადასაწყვეტი, ეს არის მიზეზი მთელის დავიდარაბისა, მთელის უბედურებისა“. ამგვარად, როცა მე ვამბობ—„ჰო“, ბ-ნ მახარაძეს ეყურება „არა“ და, როცა მე ვამბობ „არა“, იმას ეყურება „ჰო“; მე ვამბობ „გლეხებსა და თავადებს შორის უბედურება და განხეთქილებაა“, იმას ეყურება „კლასებისა და წოდებათა თანხმობა, შერიგება, ინტერესთა ჰარმონიაა“. სწორედ ისე, როგორც ერთ ზღაპარშია ნაამბობი.

როდესაც მე, ბ-ნ მახარაძის საუბედუროდ, ჩემს ფელეტონსა ვწერდი, მაშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ისე, როგორც რუსეთშიაც, გლეხთა მოძრაობას ხშირად სტიქიური ხასიათი ჰქონდა. არა-იშვიათი იყო ისეთი შემთხვევა, როცა აჯანყებული გლეხები ანადგურებდნენ თავადების საკუთრებას და თვით მესაკუთრეებსაც სიცოცხლეს ასალმებდნენ [9]. მე საჭიროდ მიმაჩნდა ამ მოძრაობაში შეტანილიყო მეტი შეგნება, მეტი სინათლე, რათა ხალხის მთელი აღშფოთება და რევოლუციონური ძალა მიმართულიყო, არა ამა თუ იმ მემამულეზე, არამედ მთელ სახელმწიფო წესწყობილებაზე.

ჩემი ფელეტონის თავადი, რომელიც გულწრფელად მისცემია განმათავისუფლებელ მოძრაობას, ასეთის სიტყვებით მიმართავს გლეხებს: „...ნუთუ გგონიათ, უსამართლობას აღმოჰფხვრით, ჩვენ შორის დავას გადაწყვეტთ ცეცხლითა და მახვილით?.. ნუთუ გგონიათ ამაში ბრალი ედება და ან ამის გადაწყვეტა შეუძლიან რევაზს ანუ ვახტანგს და ან კერძოდ რომელსამე თავადს? არა და არა. ეს საზოგადო, სახელმწიფო საქმეებია, და ამ საქმეების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ გზით, ე. ი. კანონით“... აქ ბ-ნ მახარაძეს სრულიად იმონავებს ჯოჯოხეთური ძალა და იგი, რაც ძალი და ღონე აქვს, გაჰკივის: ,,ჩვენთან მოდიან დარჩიაშვილები და გვეუბნებიან: დაიცადეთ, ყველაფერი იქნება, ყოველივე თავისთავად გადაწყდება სახელმწიფოებრივის გზით, ესე იგი კანონითაო. ამას გვეუბნება ჩვენ ის კაცი, რომელმაც ყურები გამოგვიყრუა თავისუფლებაზე ლაპარაკით, რომელიც სოციალიზმს გვიქადაგებს!“ და შემდეგ დაოსებული კრიტიკოსი კითხულობს: „გარდა ამისა, როგორ უნდა გავიგოთ ბ-ნ დარჩიაშვილის სიტყვები, რომ საადგილ-მამულო კითხვების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ გზით, ე. ი. კანონითო“ [10]. ბ-ნ მახარაძეს რომ მთელი ტყვია-წამალი არ დაეხარჯნა აჩრდილებთან ბრძოლაში და გულდასმით წაეკითხა ჩემი ფელეტონი, იქვე ამოიკითხავდა დასმულ საკითხზე ასეთ პასუხს:—„ახლა მაინც დადგა განკითხვის დღე! დღეს უნდა მოვსთხოვოთ მათ (ძველ რეჟიმის დამცველთ, — ბიუროკრატიას, [11]) პირველი და უკანასკნელი ანგარიში,

---

[5] მოგეხსენებათ, რომ ჯერ კიდევ ყველგან არ მოიპოება ვაჭრობისთვის საჭირო გზები. აი, თუნდ ჩვენი კახეთი. დღევანდლამდე იქიდან ღვინოებს ეზიდებიან ურმებით და „ტაჩკებით“. აღმართ-დაღმართზე ასეთი ეტლი ხშირად ბრუნდება და ღვინის ბოჭკები მირაბრასებს კლდეღრეებში, საიდანაც მერე მეურმეები ჯამებით სწრუპავენ ნუნუას.

[6] ვინც რამოდენადმე გაცნობილია სოფლის ცხოვრებასთან, იმას ეცოდინება ასეთი მაგალითები: ვინმე „რევაზისაგან“ გლეხმა აიღო ტყის „ბილეთი“, ე. ი. განსაზღვრულ ფასით აიღო ნება-რთვა სათავადო ტყიდან შეშაფიჩხისა თუ ჭიგოს გამოსატანად. როცა გლეხმა უკვე დატვირთა ურემი, მას წამოასწრობს ვინმე „ვახტანგი“ და მათრახს დაუშენს თავ-პირში: ვინ მოგცა ნება ჩემ ტყეში შემოსვლისაო? გლეხი აჩვენებს ბარათს, მარა „ვახტანგი“ განაცხადებს, რომ ტყე მარტო „რევაზისა“ არ არის, ამასაც წილი უდევს, ფასი ამანაც უნდა აიღოს, მისგანაც არის საჭირო ნება-რთვა; „ვახტანგი“ გარეკავს თავის სახლისკენ გლეხის ხარ-კამეჩს. თუ საქმე სასამართლომდის მივიდა, აღმოჩნდება, რომ „ვახტანგს“ მართლა წილი უდევს და რომ არიან კიდევ სხვა თავადებიც მათი თანამესაკუთრენი, რომელთაც თავიანთ შორის უკვე გაიყვეს ტყე და არც თუ გაუყვიათ. ბოლოს კაცმა აღარ იცის ვის რა ეკუთვნის და ვის ვისი ჰმართებს.

ამ რამდენიმე წლის წინად, ქართლში, ერთ სათავადო მამულში, მადანი აღმოაჩინეს. ამ საქმეში დაინტერესებული იყო უცხოეთის ერთი კომპანია; ამას გამოეგზავნა თვისი წარმომადგენელნი და ინჟინერები მადნის ადგილობრივ გამოსაკვლევად და კონცესიის (ექსპლუატაციის უფლების) ასაღებად. წარმომადგენლებმა მოიწადინეს პირობების შეკვრა, მარა, როცა ერთ წყება თავადებს მოურიგდებოდნენ, მეორენი აიშლებოდნენ და, როცა ამათ დაიყოლიებდნენ ახლა სხვა მესაკუთრენი გამოჩნდებოდნენ. უცხოეთის კომპანიამ მაინც ვერ გაიგო, თუ ვინ იყვნენ მამულის ნამდვილი მესაკუთრენი და ვისთან უნდა დაეჭირათ საქმე, იძულებულნი გახდნენ აეკიდნათ გუდა-ნაბადი და უცხოეთშივე გამგზავრებულიყვნენ წყევა-კრულვით: ბარბაროსების ქვეყანაში რა გვრჯოდაო.

[7] თავისთავად ცხადია, რომ აქ კითხვა არ ეხება მდიდარ გლეხებსა და მემამულე თავადებს შორის არსებულ ურთიერთობას. მათ შორის არავითარი კლასობრივი წინააღმდეგობა არ არის. ამას, ალბად, არ უარჰყოფს ჩვენი კრიტიკოსიც.

[8] ზოგჯერ მას საკუთარი სიტყვები მოჰყავს განსაკუთრებულ ნიშნებში, თითქოს იგი ჩემის ფელეტონიდან იყოს ამოწერილი. შეიძლება, ეს კორრექტურული შეცდომაა. მარა რაღაც ხშირად მეორდება ასეთი შეცდომები მის წერილებში.

[9] ამაზე ბ-ნი მახარაძე შენიშნავს: „ეს, შეიძლება, პირდაპირ ცილისწამებად ჩავთვალოთ!“ მე კი მგონია, რომ ეს შეიძლება სინამდვილედ ჩავთვალოთ. გაგვასამართლოს თვითონ მკითხველმა.

ვლ. დ.

[10] ამ სიტყვებს ბ-ნი მახარაძე ასეთ სხოლიოს უკეთებს: „ამას წინედ ბ-ნმა დარჩიაშვილმა თითქმის ჯვარს აცვა ამის მსგავს აზრის გამოთქმისათვის გაზ. „ვოზროჟდენიე“. ერთობ საკვირველია ბ-ნ დარჩიაშვილის რაინდული გამბედაობა. დავიჯეროთ, რომ მას გულწრფელად არ გაეგება, რაშია საქმე?

[11] ფელეტონი დაწერილია წარსულ აგვისტოში; და მაშინ სიტყვით „ბიუროკრატია“ აღვნიშნავდით ხოლმე სახელმწიფოს მთელ პოლიტიკურ წესწყობილებას, თვითმპყრობელობას. ამის გამო, ცოტა არ იყოს, ტორტმანობს ბ-ნი მახარაძე, რომელმაც ფეხსაცმელი დასცვითა საცენზურო კომიტეტში სიარულით.

დან, არამედ მთლად ქუთაისის გუბერნიიდან და ქალაქ ბათომიდანაც. თუმცა კაზაკები ჯერ კიდევ არ გაუყვანიათ, მაგრამ მარტო ამბის გაგებათაც კი მცხოვრებლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს.

◆ ქალაქის გამგეობასთან დაარსებულმა საგანგებო კომისიამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ, გადამწყვეტ ხმის უფლებით, ქუთაისში მომქმედ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, აირჩია 60 მილიციონერი, რომელთაგან 15 კანდიდატი წარმოდგენილი იყო სოციალ-დემოკრატების მეუმცირესეთაგან, 15—სოციალ-დემოკრატთა მეუმრავლესეთაგან, 15 კაცი სოციალისტ-რევოლუციონერთაგან და 15 ც სოციალისტ-ფედერალისტთაგან. მილიციონერებმა თავის მხრით ფარულ კენჭის ყრით აირჩიეს ასისთავად შ. შათირიშვილი; აირჩიეს აგრეთვე ექვსი ათის თავი. მილიციონერებს თვეში ექმნებათ ჯამაგირად ოცდა-ხუთ-ხუთი მანეთი; ათის თავებსა და ასისთავსაც უბრალო მილიციონერის ჯამაგირი ექმნებათ. მილიციონერები ქვეითნი იქმნებიან, გარდა ასისთავისა, რომელიც სარგებლობს ქალაქის ცხენით. მილიციონერებს მარჯვენა მკლავზე აქვთ თეთრი ტილოს ნიშანი, რომელზედაც აღნიშნულია ნომერი და ორი ასო „Г. О.“ (Городская охрана).

◆ ადგილობრივ სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა 3 დეკემბერს უარი განაცხადეს საგანგებო კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე. როგორც ორი კვირის ერთად მუშაობისა და მილიციის ერთად არჩევის შემდეგ აღმოჩნდა, ისინი პრინციპიალურად წინააღმდეგნი ყოფილან ხსენებულს კომისიაში მონაწილეობის მიღებისა. როგორც რევოლუციონერთა ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, მათ სურთ თურმე, რომ შესდგეს ქუთაისში მომქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა „კოალიციური საბჭო“ (коалиціонный совѣтъ), რომელმაც უნდა განაგოს ქალაქის საქმეები. ამ ახალს საბჭოში ქალაქის ეხლანდელ საბჭოს წარმომადგენელი უნდა მოწვეულ იქმნეს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით. სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები კი, რომელნიც სხდომას დაესწრნენ, ასეთ კოალიციურ საბჭოს წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ, ყოველი საბჭო უნდა აირჩიოს თვითონ ხალხმა საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორისა და ფარული კენჭის ყრით, რომ მას მეტი ნდობა ექმნეს, და ქალაქს ასეთ საბჭოს არჩევნებიც მოკლე ხანში უნდა მოხდეს.

◆ ქალაქის გამგეობა უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა იმის გამო, რომ მცხოვრებლებს არავითარი გადასახადი აღარ შეჰქონდათ ქალაქის კასაში და ქალაქის გამგეობა მიუცილებელ მოთხოვნილებებსაც ვეღარ აკმაყოფილებდა: ქალაქის საავადმყოფოს მოუსპეს ნისიად სხვადასხვა სანოვაგის ძლევა და ავათმყოფები ერთის მხრივ ტკივილებით და მეორე მხრივ შიმშილით კბილებს აკრაჭუნებდნენ, ფილტვების ანთებასთან მათ კუჭის ანთებაც გაუჩნდათ; ქალაქის თავლებს აღარ აძლევდნენ ნისიად ცხენების საკვებს—თივას, ქერს, სიმინდს—და ცხენები შიმშილით იხოცებოდნენ; მოიჯარადრემ ქალაქს ნისიად ნავთი აღარ მისცა და მთელი ქალაქი წყვდიადში განისვენებდა ავაზაკებისა და ქურდ-ბაცების სასიხარულოდ. მეორეს მხრივ, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებმა ნოემბრის დამლევს ერთად მოითხოვეს ჯამაგირები და ქალაქის გამგეობას ხელებს ემუქრებოდნენ, თუ ჯამაგირები არ მოგვცათო. ქალაქის მცხოვრებლები ფულის შეუტანლობის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებდნენ, რომ ვითომც სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები გვიშლიანო. ასეთი უსაფუძვლო ბრალდება რომ თავიდან აეცილებინათ და ქალაქის გამგეობა ხსენებულ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოეყვანა, ქალაქის გამგეობასთან დაარსებულმა საგანგებო კომისიამ გამოსცა ფურცელი, რომლითაც ის იწვევს ქალაქის მცხოვრებლებს, რომ მათზე დარჩენილი გადასახადები უსათუოდ ორის დღის განმავლობაში (გამოცხადების დღიდან) შეიტანონ ქალაქის კასაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით სასტიკი ღონისძიება ვიხმაროთო. კომისიის მოწოდებამ გასჭრა და მცხოვრებლებმა გამოცხადებისთანავე იწყეს ქალაქის კასაში ფულის შეტანა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენლებმა შეუძლებლადა სცნეს ხსენებულს მოწოდებაზე ხელის-მოწერა.

◆ სოციალისტ-ფედერალისტების გარდა, ქუთაისში თითქმის ყველა მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიამ დაარსა საკუთარი კლუბი. როგორც გავიგეთ, ეხლა ს.-ფედერალისტებიც აპირობენ ასეთ კლუბის დაარსებას. სოციალ-დემოკრატების მეუმცირესეთა ფრაქციის კლუბი მოთავსებულია ბეგუთის ქუჩაზე, რუხაძის სახლში; მეუმრავლესეთა კლუბი—მიხეილის ქუჩაზე, პოლიხრონიდისეულ სახლში, და სოციალისტ-რევოლუციონერებისა—ტფილისის ქუჩაზე, გამყრელიძის სახლში.

◆ 2 დეკემბერს ქალაქის კლუბში გაიმართა საცეკვაო საღამო ადგილობრივ სოციალ-დემოკრატების მეუმრავლესეთა ფრაქციის სასარგებლოდ. ცუდმა ამინდმა (თოვლ-ჭყაპმა) ძლიერ შეუშალა ხელი საღამოს.

◆ 27 ნოემბერს ქუთაისში მომხდარმა ამბებმა, რომელიც გამოიწვია კაზაკებისა და წითელ რაზმელების შეტაკებამ, ცოტათი გამოაფხიზლა ქუთაისის სამკურნალო საზოგადოებაც, რომელიც, ეს ერთი ხანია, სულთას ძილს მისცემია და იმ დროს, როდესაც გროგორაშ-ბაბიკოვებიც კი უკმაყოფილონი არიან ეხლანდელ წესწყობილობით და პროტესტს პროტესტზე უცხადებენ დღევანდელს მთავრობის მზაკვრულ მოქმედებებს, ამ დროს ჩვენი ექიმები სულ განზე გამდგარან და, „моя хата съ краю“ ს ხმაზე, კმაყოფილნი დაჭკიდინებენ ბრჭყვიალა ლითონებს, თითქოს თვალებ ჩამოტარად ვექილების გულის გასახეთქად (რომელნიც—შევნიშნავ ფრჩხილებში—ამ ბოლო დროს ერთობ დაჩაგრულნი არიან ასეთ ლითონებს). და, აი, 2 დეკემბრის სხდომაზე ხსენებულმა საზოგადოებამ საჭიროდ დაინახა, რომ ქალაქი მუდამ მზად იყოს ისეთ შემთხვევებისათვის, როგორიც მოხდა 27 ნოემბერს და შემდეგშიაც ყოველ წამს მოსალოდნელია, რომელსაც შეუძლია დიდი სისხლის დვრა გამოიწვიოს; იმ მხრივ მაინც უნდა ვიყოთ მზად, რომ შევიძლოთ დაჭრილებს ჭრილობები შევუხვიოთ და პირველი საქმით დახმარება აღმოვუჩინოთო. ამ მიზნით საზოგადოებამ დაადგინა: საჭიროების დროს ჭრილობების შესახვევად და პირველ საქმით დახმარების აღმოსაჩენად დანიშნულ იქმნეს შემდეგი 8 ადგილი: ქალაქის უფასო სამკურნალო, თოფურიასეულის საავადმყოფო, კადეშიძე-სანიანთა ქალაქის საავადმყოფო, სამხედრო ჰოსპიტალი, რკინის გზის საავადმყოფო, ქალებისა და ბავშვების გიმნაზიებთან და სასულიერო სასწავლებელთან არსებული საავადმყოფოები. თვითოეულს ადგილას უნდა იქმნეს თითო ექიმი, თითო ფერშალი და სამ-სამი მოწყალების და; იქვე დამზადებული იქმნება ჭრილობის შესახვევად საჭირო მასალები. ექიმებს დაევალათ უკითხონ ლექციები მოწყალების დებს შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა მოვლა დაჭრილებს. მოწყალების დებად ბევრი მანდილოსანი ჩაეწერა.

◆ ქალაქის გამგეობასთან დაარსებულმა საგანგებო კომისიამ შემდეგი წესი შეიმუშავა ქალაქის მცხოვრებლების საყოველთაო აწერის მოსახდენად: საყოველთაო აწერა უნდა მოხდეს მთელს ქალაქში ერთს დღეს. ამწერლებად მოწვეულნი არიან ადგილობრივ სასწავლებლების უფროს კლასის მოწაფეები, რომელთაც წინდაწინ გააცნობენ აწერის წეს-რიგს. კომისიის მიერ შემუშავებულს აწერის ქაღალდში შემდეგი კითხვები, რომლებზედაც ამწერლებმა პასუხი უნდა აგონ: 1) სახელი, მამის სახელი და გვარი, 2) სქესი, 3) რად მოხვდება ოჯახის უფროსს, 4) მოქალაქობრივი მდგომარეობა (ცოლიანი, თუ უცოლო და სხ.), 5) ხელობა, 6) წოდება, 7) ქვეშევრდომობა, 8) სარწმუნოება, 9) ეროვნება, 10) სამშობლო ენა, 11) წერა-კითხვის მცოდნეა თუ არა (ქართულად ან რუსულად), 12) სადაა დაბადებული, 13) რამდენი ხანია ქუთაისში ცხოვრობს, 14) მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, 15) განუკურნებელი ავადმყოფები: ბრმა, ყრუ, მუნჯი, იდიოტი, შეშლილი; 16) სამართალში მიცემულა თუ არა და სხ. ყოველი ოჯახი ცალ-ცალკე ფურცელზე უნდა იქმნეს აწერილი. ამყამად ქუთაისში სულ 6,000 მდე სახლი უნდა იქმნეს.

ისარი.

ხულიგან-პროვოკატორთა ოინი

—

არავითარ ხრიკებს და საზიზღარ ცილისწამებას არ ერიდებიან ხულიგან-პროვოკატორები, რომ შეაფერხონ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა.

კვირას, 4 დეკემბერს, ნაძალადევში, სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მიერ გამართულ მიტინგზე, სანამ მიტინგი გაიხსნებოდა, შემოიტანა განცხადება ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტის მოსამსახურეთა სახელით ორმა ვითომ მათმა რწმუნებულმა. განცხადება ტფილისის კომიტეტის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბიუროს მიმართ დაწერილია. ამ განცხადების შინაარსი არის შემდეგი:

„1905 წლის 30 ნოემბერს, საქალებო ინსტიტუტის ხაზინადარმა, მოსამსახურეთა ჯამაგირების დარიგების დროს, ერთ მოსამსახურეს, სახელდობრ, მათე ზოტოვს, დასახურდავებლად გაატანა 130 მანათი. მათე ზოტოვმა ეს ფული წაიღო დასახურდავებლად სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში, მაგრამ აღარ დაბრუნებულა,—ხოლო მის დაგვიანების შემდეგ გაიგზავნა ამხანაგები მის მოსაძებნად, რომელიც საღამოს 9 საათზე ნახეს თავის ცოლთან ერთად თავისსავე ოთახში. უფროსებისა და ამხანაგების შეკითხვაზე მან განაცხადა, რომ ფრეილინის ქუჩაზე თავს დაესხნენ სამი უცნობი კაცი, რომელთაც ჩასვეს ეტლში და წაიყვანეს ნაძალადევში, სადაც დაითვრეს და გაძარცვეს იგი. მიუხედავად იმისა, რომ ზოტოვის სიტყვას არ ვერწმუნებით, ჩვენ, ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტის მოსამსახურენი, ვთხოვთ ბიუროს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, გამოარკვიოს, მართლა გაძარცვეს ნაძალადევში ზოტოვი, თუ უკანასკნელმა მიითვისა ზემოხსენებული ფული. ამის გამორკვევა საშუალებას მოგვცემს დავეხმაროთ ჩვენს ხაზინადარს, რომელმაც თავის ჯიბიდან უნდა ზღოს დანაკარგი ფული.

მოსამსახურეთა მინდობილებით ვახტერ როეკოვი და ისააკ პრილუცკი“.

შეგროვილ ხალხში ზოგიერთმა გადაჭრით გამოაცხადა, განცხადების შემომტანი ერთი უეჭველი ჯაშუშიაო,—და, მაშასადამე, ცხადი არის, რომ მათ განცხადება პროვოკატორულ მიზნით შემოიტანეს, რათა სახელი გაუტეხონ, როგორც საზოგადოდ ეხლანდელ მოძრაობას, ისე სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასაც.

გოროდცევის ლექციაზე

—

სამშაბათს, 6 დეკემბერს, მისიონერთა ეკლესიაში, ტფილისის „პატრიოტების“ პარტიის სულის ჩამდგმელმა, ცნობილმა მღვდელმა გოროდცევმა თავისს სულიერს შვილებს ლექცია წაუკითხა: „დედაკაცი და მისი დანიშნულება სამღვთო წერილის მიხედვით“. ლექციის წაკითხვა საღამოს 6 საათზე დაიწყო. ამ დღეს თოვლი მოდიოდა, ქუჩებში თოვლ-ჭყაპი იდგა, მაგრამ „მასწავლებელ მოძღვრის“ ლექციამ საკმარისად ბევრი პატრიოტები შეჰყარა,—იქმნებოდა 300—400 კაცამდე. აქ იყვნენ ჟანდარმები, ოფიცრები, საინტენდანტო სამმართველოს რამდენიმე მოხელე, დაბალი პოლიციელნი, მღვდლები და სხვანი. ლექციაზე განსაკუთრებით რუსობა და მალაკნები იყვნენ. არა „პატრიოტთათვის“ იქ შესვლა აკრძალულია.

პირველად მგალობელთა გუნდმა „მეუფეო ზეცათაო“ და „ბოჟე ცარია ხრანი“ იგალობა და შემდეგ ლექცია დაიწყო.

„ჩემს ლექციას—სთქვა გოროდცევმა—ორ ნაწილად გავყოფ. პირველ ნაწილში ვიტყვი, თუ რა მოვალეობა აქვს დედაკაცს სამღვთო წერილით, ხოლო მეორეში აღვნიშნავ, თუ როგორ ასრულებენ ამ მოვალეობას თანამედროვე დედაკაცები დღეს, როდესაც საყვარელი და მრავალტანჯული ჩვენი სამშობლო შინაურ მტრებისგან და მეფისა და სარწმუნოების უარმყოფელთაგან განსაცდელშია ჩავარდნილი“.

აქ გოროდცევმა მოიყვანა ტექსტები დაბადებიდან, ფსალმუნიდან, სოლომონის ეკლესიასტიდან, სადაც ლაპარაკია დედაკაცებზე, და სთქვა: დედაკაცი ნაზის აგებულებისაა და ადვილად შეუძლიან ამ თვისებით ისარგებლოს და დაამცხროს მამაკაცის გალაღებული ბუნება, როდესაც ის თვითნებობას იჩენს და მთავრობისა და კანონების წინააღმდეგ წასვლას მოინდომებს. სამღვთო წერილი დედაკაცს ფრიად დიდს მნიშვნელობას აძლევს მამაკაცის ბოროტ სურვილების ჩაქრობაში და ამიტომ არასდროს არ უნდა გადაუხვიოს ამ გზას. დედაკაცს არა შეშვენის მამაკაცობა (ე. ი. იმგვარივე მოქმედება მთავრობისა და კანონების წინააღმდეგ, როგორსაც მამაკაცნი ეწევიან).

აქ ლექცია კიდევ შესწყდა და მგალობელთა გუნდმა რამდენიმე საერო ჰიმნი შეასრულა.

ლექციის მეორე ნაწილი უფრო საინტერესო იყო, რადგან აქ გამოითქვა სავსებით სული და გული ლექტორისა.

„რაოდენ ბედნიერად ჩავთვლიდით ჩვენს თავს,—სთქვა გოროდცევმა,—რომ თანამედროვე დედაკაცებს ესმოდეთ ის დიდებული მოვალეობა, რომელსაც მათ სამღვთო წერილი აკისრებს. მაშინ ჩვენი ქალები არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდნენ საზიზღარ დემონსტრაციებში და ქვეშ არ დაუდგებოდნენ ავაზაკთა წითელს დროშას, რომელიც სთელავს, ჰბღალავს მეფეს, მთავრობას, ქრისტიანობას და ყველაფერს, რაიც ჩვენთვის წმიდათა-წმიდა არის, მაშინ მოღალატეთა მიტინგებზე აღარ წარმოითქმოდა აღფრთოვანებული სიტყვები და ხალხს შეაიარაღებისთვის არ მოუწოდებდნენ; მაშინ მამა-კაცები, ჩაგონებულნი ქრისტიან ქალთა მიერ, მასტოვებდნენ იმ ხანგრძლივ გაფიცვებს, აჯანყებას, რომელიც ძირს უთხრის სახელმწიფოს კეთილდღეობას და ყველანი მშვიდობიან მუშაობაში იქმნებოდნენ გართულნი“.

დასასრულ ლექტორმა იქ მყოფ ქალებს მიჰმართა: თქვენი მოვალეობაა, ჩააგონოთ მამაკაცებს, ხელებს სისხლში ნუ ისვრიან, დაუბრუნდნენ მშვიდობიან ცხოვრებას.

ლექციის გათავების შემდეგ, გოროდცევის წინადადებით, დამსწრეთა შორის ფული შეიკრიბა მეფე-იმპერატორის ახალის სურათის შესამკობად.

დამსწრე.

—:—

რკინის გზის მოსამსახურენი და ექიმ-ვექილები.

(წერილი რედაქციის მიმართ)

რკინის გზის უმთავრეს საავადმყოფოს ექიმები სწორედ რომ უბედურ რასმე წარმოადგენენ რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთათვის. ისინი მხოლოდ იმასა ცდილობენ, რომ, რაც შეიძლება, მეტი თავისუფალი დრო ჰქონდეთ და თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ დაბალ მოსამსახურეთა ჯანმრთელობას. ამის დამამტკიცებელი საბუთები აურაცხელია და, ვფიქრობ, რომ რომელიმე ექიმმა შესძლოს თავის გამართლება მუშების წინაშე.

დაჭრილ-დასახიჩრებულ მუშას ექიმები ხშირად ღვთის ანაბარად, ღია ცის ქვეშ სტოვებენ და ამით თავს ითავისუფლებენ „ზედ-მეტ“ შრომისაგან. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი მუშები კვდებიან, საპყრდებიან და საზოგადოების საჭირბოროტოდ ხდებიან. ბედნიერი შემთხვევაა, როცა დასახიჩრებულ მუშას რაიმე საბუთი მოეძებნება, რომლის ძალითაც იგი, რამდენიმე წლის დავიდარაბის შემდეგ, რკინის გზათა სამმართველოსაგან ძლივს ეღირსება ორიოდე გროშს. ხშირად ჯანმრთელობის მხრივ სასტიკად დაზიანებულ მუშას, თუ მას მთლად ხელი ან ფეხი არა აქვს გადაჭრილი, ექიმები ასეთის „შემოწმებით“ ისტუმრებენ: „შეგიძლიან მუშაობა; სტყუი, არაფერი არ გტკივაო“. ასეთია მათი სამკურნალო რეცეპტი!

ამაზე კიდევ უფრო გულგრილად ეპყრობიან რკინის გზის მოსამსახურეებს ვექილები. ამათ იმდენად ახსოვთ მუშების ინტერესი, რამდენადაც ეს მათს საკუთარ ჯიბეს მოუხდება. არა ერთი და ორი მაგალითი დაადასტურებს ამ აზრის სიმართლეს. მაგ., ვთქვათ, სამსახურის დროს დაშავებულ მუშას მოუხდა ჯილდოს მისაღებად საჩივრის აღძვრა, სადაც ჯერ არს. როგორა გგონიათ? დამცველი ვექილი თხოულობს მუშისაგან მოგებულის ნახევარს, ასე რომ, თუ მუშას ერგება სამი ათასი მანათი, 1,500 მან. ვექილს უნდა მიართვას გასამრჯელოდ. ხშირად ამას სჩადიან ის ვექილები, რომლებიც მუშათა ინტერესებს საქვეყნოდ „იცავენ“!..

რათა ყველამ გაყვლეფისაგან თავი გავინთავისუფლოთ, ჯერჯერობით საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი ზომები:

1) დავადებულ და დაშავებულ მუშათა შესამოწმებლად მოწვეულ იქმნან ის ექიმები, რომლებიც სასამართლოში დაინიშნებიან ექსპერტებად.

2) ნება ჰქონდეს, თათბირის დროს დაესწროს ის პირი, რომლის საქმეც ირჩევა.

3) დაშავებულ მუშას არ უნდა სჭირდებოდეს სასამართლოებში სიარული და ჯილდოს მიცემა დამყარებულ უნდა იქმნას იმ საბუთზე, რომელსაც მუშა წარმოადგენს.

4) დაშავებულ მუშებს უკანვე დაუბრუნდეთ ის ფული, რომელიც მათ საპენსიო კასაში შეუტანიათ.

5) დაკმაყოფილებულ იქმნან ისინი, რომლებიც, რკინის გზაზე სამსახურის დროს, გარეშე პირთაგან იქმნენ დაჭრილნი ან მოკლულნი.

6) დაშავებულს, გარდა იმ ფულისა, რაც ეკუთვნის, უნდა მიეცეს ერთხნობით მთელის წლის ჯამაგირი.

ვთხოვ რკინის გზის მუშათა ბიუროს, გაეცნობის დაშავებულთ, თუ როდის უფრო მოსახერხებელი იქნება შეკრება ჩვენის მდგომარეობის გამოსარკვევად.

ვთხოვ ადგილობრივ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

გრიგოლ დ—ძე ქაბლიაშვილი.

კორესპონდენცია

—

ხოფ. ხევდურეთი (გორის მაზრა), ეს ათი დღეა, ხმა გავრცელდა, რომ აქაური მცხოვრებნი გიგო ჯაბაიაშვილი და ტატე მასურაშვილი, რომლებიც ფოთში მუშაობდნენ, მოჰკლეს და ზღვაში გადააგდესო. ეს ხმა მართალი გამოდგა. შაბათს, 3 დეკემბერს, ტატე მასურაშვილი მართლაც მკვდარი ნახეს ზღვის პირად, ტალღებისაგან გამოგდებული. ტატეს ტყვიით გული ჰქონდა განგმირული.

ტატეს გვამი, 4 დეკემბერს, ჩამოასვენეს ს. ხევდურეთში. დაკრძალვის დროს. წითელი დროშები აფრიალდეს. დროშებს ზედ ეწერა: „ხულიგნების მსხვერპლი“. მართლადაც სცოდნია ტატე ხულიგნებს მოუკლავთ. ორს სალდათურად გადაცმულ ხულიგანს გაეტყუებიათ—თოფებს მოგცემთო, ჩაუსვამთ ნავში და, როცა ნაპირს გასცილდებოდნენ, მოუკლავთ და ზღვაში გადაუგდიათ. ტატეს დარჩა ცოლი და ორი შვილი. გიგო ჯაბაიშვილი ჯერაც არსად ჩანს.

კ. გაბუნია.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ. პავლე ვ. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობები

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

(ადგილობრივის საათით).

ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 58 წ.; 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. და 46 წ.; 3) საქონ.-სამგზავრო № 18 დილის 11 ს. და 38 წ.; 4) სწრაფი № 20 მოსკოვამდის (მარტო სამშაბათობით) საღამოს 6 ს. და 33 წ.;

ბათუმს: 1) სამგზავრო № 7 საღამოს 10 ს. და 54 წ.; 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 53 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. და 5 წ.;

ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. და 10 წ.; 2) საქონ. სამგზავრო № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. და 11 წ..

ტფილისში ჩამოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავრო № 8 ნაშუადღევის 1 ს. 29 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 9 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. და 42 წ.;

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. და 28 წ.; 2) საფოსტო № 3 შუადღ. 12 ს. და 8 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. და 29 წ.; 4) საქონ. სამგზავრო № 17 ღამის 10 ს. და 28 წ.;

ბათუმიდან გამოდის: 1) სამგზავრო № 8 ღამის 12 ს. და 30 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 6 ს. და 13 წ.; 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. და 22 წ.;

ქობულეთისაკენ: დილის 10 ს. 28 წ.

ნატანებისაკენ: ნაშუადღევის 2 ს. და 58 წ.

ბათუმში ჩადის:

ტფილის-ბაქოდან: 1) სამგზავრო № 7 დილის 11 ს. და 31 წ.; 2) საფოსტო № 3 ღამის 1 ს. და 12 წ.; 3) სამგზავრო № 5 საღამოს 8 ს. და 5 წ.

ბაქოდან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მარტო ხუთშაბათობით) ღამის 1 ს. და 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. და 51 წ.; 3) სამგზავრო № 5 შუადღის 12 ს. და 1 წ.; 4) საქონ.-სამგზ. დილის ს. და 1 წ.

ბაქოში ჩადის:

ტფილის-ბათუმიდან: 1) საფოსტო № 6 ნაშუადღევის 2 ს. და 18 წ.; 2) სამგზავრო № 6 ღამის 1 ს. და 40 წ.; 3) საქონ,-სამგზ. (ტფილისიდან) № 18 ნაშუადღევის 4 ს. და 53 წ,

მიხაილოვიდან გადის:

ბორჯომისაკენ: სამგზავრო. 1) დილის 4 ს. და 3 წ.; 2) დილის 11 ს. და 28 წ.; 3) საღამოს 5 ს. და 23 წ

სურამისაკენ: საქონ.-სამგზ. 1) ღამის 3 ს. და 8 წ.; 2) დილის 4 ს. და 8. წ.; 3) დილის 9 ს. და 43 წ., 4) დილის 11 ს. და 33 წ,; 5) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 6) საღამოს 5 ს. და 28 წ.

ბორჯომიდან გამოდის.

მიხაილოვისაკენ: სამგზავრო: 1) ღამის 11 და 42 წ 2) დილის 8 ს. 12 წ.; 3) ნაშუადღევის 2 ს. და 3 წ.

ბაკურიანისაკენ—(ბორჯომის ბაღიდან): სამგზავრო დილის 10 ს. 20 წ.

ბაკურიანიდან გამოდის.

ბორჯომისაკენ: სამგზავრო ნაშუადღევის 4 ს. და 18 წ.

სურამიდან გამოდის.

მიხაილოვისაკენ: საქონ.-სამგზავრო: 1) ღამის 2 ს. და 31 წ.; 2) ღამის 3 ს. და 28 წ.; 3) დილის 9 ს. და 1 წ.; 4) დილის 10 ს. და 41 წ.; 5) ნაშუადღევის 2 ს. და 51 წ.; 6) ნაშუადღევის 4 ს. და 36 წ.

რიონიდან გადის:

ქუთაისისაკენ: სამგზავრო: 1) დილის 5 ს. და 13 წ.; 2) დილის 7 ს. 18 წ.; 3) დილის 11 ს. 03.; 4) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 5) საღამოს 9 ს. 48 წ.; 6) ღამის ს. 13 წ.

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელეიმანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

დღეს უნდა ყველამ ერთად მივიტანოთ იერიში საერთო მტერზე და სამარადისოდ დავლეწოთ ახალი ბატონყმობის უღელი, მასთან ერთად ძველი ბატონყმობის ნაშთებიც. ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა: უფლება სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობისა წარმომადგენელთა საშუალებით, რომელნიც აღჭურვილნი იქმნებიან გადამწყვეტ საკანონმდებლო ხმით, უფლება პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი,—ადამიანის წოდებისა, ქონებისა, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად, ფარულ ხმის მიცემით,—ასარჩევად წარმომადგენელთა, როგორც სახელმწიფო მართვა-გამგეობისთვის, ისე სოფლის, ქალაქის, მაზრის თუ გუბერნიის თვითმართველობისათვის; საკანონმდებლო თვითმართველობა დაჩაგრულ ეროვნებათა, თანახმად ამავე ეროვნებათა სურვილისა, და, როგორც გარანტია ამ უფლებათა განხორციელებისა—დაუყოვნებლივ სრული თავისუფლება აზრებისა და აზრის გამოქვეყნებისა (წერით თუ სიტყვით), ისე, როგორც ყრილობისა, კრებებისა, ამხანაგობისა და კავშირებისა“...

ბ-ნი მახარაძე მისაყვედურებს, ვითომ მე მექადაგნოს როდისმე მოცდა, შერიგება, დაწყნარება, დამშვიდება, ნამდვილად კი მთელი ჩემი ფელეტონი მხურვალე მოწოდებაა მედგარ, შეუჩერებელ ბრძოლისათვის.

ვლ. დარჩიაშვილი.

—

P. S. მე აზრადა მქონდა დამეწერა ბ-ნ მახარაძის წინააღმდეგ კიდევ სამი წერილი მაინც. მაგრამ, რაკი ამხანაგები დაჟინებით მთხოვენ შევწყვიტო მასთან პოლემიკა, ვათავებ ამით. მხოლოდ ორიოდე სიტყვაც.

ბ-ნი მახარაძე აცხადებს (იხ. „მოგზაური“ № 40 გვ. 632), რომ აბსურდია (უაზრობაა) იმისი თქმა, ვითომ თვითმპყრობელობის მოსპობაში დაინტერესებულნი იყვნენ საზოგადოების ყველა კლასები; ამის თქმა ნიშნავს საზოგადოების კლასობრივ წინააღმდეგობის უარყოფასო. მე კვლავ ვიმეორებ, რომ დღევანდელ თვითმპყრობელობის მოსპობაში დაინტერესებულნი არიან სწორედ ყველა საზოგადოებრივი კლასები; და ვინც ამას ვერა ჰხედავს, ის გონებრივად დაბრმავებულია. პროლეტარიატიც და ბურჟუაზიაც ორივენი დაინტერესებულნი არიან თვითმპყრობელობის მოსპობაში (ორივესთვის ეს სასარგებლოა), მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მათ შორის არსებულ კლასობრივ ანტაგონიზმის უარყოფას. ძველის რეჟიმის მოსპობაში სხვადასხვაგვარად არიან ისინი დაინტერესებულნი; სხვადასხვა არის მათი ბრძოლის ტაქტიკა, სხვადასხვა შედეგს მიელიან გამარჯვებიდან (თვითმპყრობელობის მოსპობიდან). ბურჟუაზიისთვის ამ უკანასკნელს მოაქვს კლასობრივი ბატონობა; პროლეტარიატი კი გზას იკაფავს სოციალურ რევოლუციისაკენ.

კლასობრივი ანტაგონიზმი მოისპობა, საზოგადოებრივ კლასების თანხმობა და შერიგება მოხდება, „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ დამყარდება მხოლოდ და მარტო მაშინ, როცა მოისპობა ყოველივე საზოგადოებრივი კლასები, ე. ი. განხორციელდება სოციალიზმი.

ერთ ჩემს ფელეტონში („კლასობრივი ანტაგონიზმი და საერთო ინტერესები“, „ივერია“ № 182) მე ვამბობდი: დანაშაულია, ცილისწამებაა, როცა „კლასთა ბრძოლის მქადაგებელთ უკიჟინებენ, რომ იგინი სთესავენ ადამიანთა შორის სიძულვილს, შურისძიებას, მტრობას და აქეზებენ და ასისინებენ ერთმანეთის ამოსაჟლეტად... კლასთა ბრძოლის საგანია არა პიროვნებათა მოსპობა, არამედ ცხოვრების პირობები, საზოგადოებრივი წეს-წყობილება, მთელი სოციალური ორგანიზაცია... პროლეტარიატის საქმე და მისწრაფებანი (ე. ი. ადამიანისაგან ადამიანის დაჩაგვრის მოსპობა, საზოგადოებრივ კლასების მოსპობა, ე. ი. სოციალიზმის დამყარება) ეს—განხორციელებული სიყვარულია“. ამის შესახებ ბ-ნი მახარაძე სწერს: „ბ-ნი დარჩიაშვილი ამით გვიმტკიცებს, რომ კლასთა ბრძოლის მქადაგებელი მტრობასა და სიძულვილს არ უნერგავს (პროლეტარიატს) მის მოწინააღმდეგე კლასებისადმი (ე. ი. არსებულ კლასობრივ წესწყობილებისადმი), არამედ სიყვარულს *)“... რატომ კალამი არ გადაუტყდა, როცა იგი ამასა სწერდა!..

იმავე წერილში ბ-ნი მახარაძე არკვევს ჩემს „შეცდომას“ იმის გამო, თუ რა ურთიერთობაა საზოგადოებრივ წეს-წყობილების რევოლუციასა და ადამიანთა პსიხოლოგიის ევოლიუციის შორის. ამის შესახებ ხვალ მექმნება მე წერილი „ივერიაში“. იმ წერილს არ ექმნება საპოლემიკო ხასიათი, მარა ნამდვილად კი მიმართული იქმნება ბ-ნ მახარაძის წინააღმდეგ. მე იქ ვეცდები დავამტკიცო, რომ ამ ბატონს დიალექტიკურ მატერიალიზმის დედა-აზრიც კი სრულიად არ გაეგება.

ვლ. დ.

---

*) „მოგზაური“ № 41. გვ., 651.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 5